„მოგზაური“ წელიწადში ღირს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ადრესი: თფილისი, ნიკოლოზ. ქ, № 44.

მოგზაური

უოველკვირეული ჟურნალი

რედაქცია ყოველ დღე, გარდა დღესასწაულისა, 10 საათ. უადღის 1 საათამდე, და საღამოს: 6 სათ. 7 საათამდე.

№ 29. კვირა, 7 აგვისტო 1905 წლისა. № 29.

შინაარსი: საშიშარი აჩრდილი.—კავშირი თუ პარტია ნ. ელიავასი.—ომის ამბები.—ოფიციალური ცნობა.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—რუსეთის ქრონიკა.—უცხოეთი.—განა ეს მოსათმენია? ვ. რუხაძისა.—დისციპლინა.—ფელეტონის მაგიერი, ეშმაკისა.—პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა—ენგელსისა, (თარგმანი).—ჟურნალ-გაზეთებიდან.—ბურჟუა და პროლეტარი.—მსჯელობის უფსკრული, ი. ნაკაშიძისა.—„ცვლილება“—სხვათა შორის, ბარ. გლეხისა.

საშიშარი აჩრდილი.

რუსეთის ტყავ-გამძვრალ გლეხ-კაცობას საშიშარი აჩრდილი წამოელანდა. ჯერ მხოლოდ იმისი მარტო საზარელი სახე მოსჩანს, სახე მახინჯი და უმსგავსო, მაგრამ მწარე გამოცთილებით დამფრთხალი ხალხი ახლავ გრძნობს მომავალი უბედურების სიმძიმეს. რუსეთში შიმშილობას მოელიან! შიმშილობა ხშირი სტუმარია რუსეთისა; ის მუდამ თვალ წინ უდგას გლეხ-კაცობას სულთა-მხუთავივით სიკვდილის ცელით აღჭურვილი და მოსვენებას არ აძლევს მას. საზარელი რამ არის შიმშილობა ყოველ დროს, მაგრამ უსაშინელესი და უსაზარლესი იქნება ის დღეს, როცა რუსის გლეხ-კაცობა უკიდურეს სიღარიბეშია ჩავარდნილი, როცა მას სულს ხდიან, თითოეულ კაპეიკს ჯიბიდან სტაცებენ, როცა ყველა მშრომელი ხელი სადღაც შორს მანჯურიის მინდვრებში გადახვეწილი შეუბრალებლათ იქლიტება, როცა ყველა საწარმოოო დაწესებულებები კოტრდებიან და იკეტებიან! საზარელია შიმშილობა ყოველთვინ, მარა უსაზარლესია ის დღეს, როცა რუსეთის თვითმპყრობელმა მთავრობამ ბეჩავი გლეხ-კაცობა სიღატაკის უკანასკნელ საფეხურზე ჩამოახტუნა, როცა უკანონობა—უსამართლობამ მას მოქმედების უნარი წაართო, როცა ადმინისტრაციის თავ-გასულობამ მას სული შეუხუთა. როგორც გაზეთები იუწყებიან შიმშილობა მოსალოდნელია 26 გუბერნიაში. ოფიციალური წრეები ასეთ მოვლენას საზოგადოთ „მოსავლის ნაკლებობას“ ეძახიან. ასეთი მოსავლის ნაკლებობა იყო 13 წლის წინათ, რომლის კვალი ჯერაც ცხოვლათ ატყვია რუსეთის ცხოვრებას. მაგრამ ეხლანდელი მდგომარეობა გაცილებით ვარესია მაშინდელზე. მაშინ დამშეული ხალხი დიდ ქალაქებში მაინც შოულობდა ლუკმა პურს, რაც დღეს თითქმის შეუძლებელია. როგორც ვიცით მანჯურიის უაზრო ომმა მთელი რუსეთის სიმდიდრე ჩაყლაპა. ათასი მცარცველი გაძღა საწყალი ხალხის ჯიბიდან ამოგლეჯილი გროშებით! ათასი სისულელე ჩაიდინა ჩვენმა გზა დაკარგულმა ბიუროკრატიამ თავისი შერყეული მდგომარეობის გასამაგრებლათ და ერთხელაც არ უფიქრია იმაზე (შეიძლება კიდევაც იფიქრა) თუ რას უმზადებდა ის ქვეყანას. უნიჭო ბიუროკრატიას ალბათ ქვეყნის სამსახური ეგონა ათი ათას ვერსზე, მანჯურიაში საჭონლის (საკვების ურსათის) გადაზიდვა და მერმე იმისი დაწვა. მან გამოაშორა ოჯახს მოქმედი წევრები და ომში გაგზავნა. ხოლო უძლურნი სახლში დასტოვა და მოღვაწეობა ჰგონია ასეთი უაზრობა.

საშიშარი აჩრდილი მაინც წინ გვიდგას და მისი აცილება, მისი შეჩერება არ შეუძლია არც ციხე სიმაგრეს, არც თოფზარბაზანს, არც რკინის ბორკილებს!, არ ძალუძს არცერთ იმ საშვალებას, რომელიც ჩვენი მთავრობის განკარგულებაში იმყოფება. მეტადრე დღეს, როდესაც ძველი კალაპოტიდან გადმოვარდნილი ცხოვრება ახალში არ ჩამდგარა, როდესაც ქვეყანას სათავეში ჯერ კიდევ ბიუროკრატია. უდგა, რომელთა განუწყვეტელი მოქმედების ნაყოფს ასე უხვათ მოიმკის ჩვენი მუშა ხალხი, მხედრობა და საზოგადოთ მთელი გაჭირვებული რუსეთი. მწარეა ეს ნაყოფი, საზიზღარია თითოეული იმისი მხარე, მაგრამ იმის გარეშე გზა არ არის.

მაშ ვინ უნდა გადაუღობოს გზა ამ საშიშარ მტერს, ვინ უნდა შეაკვეცოს ფრთა მისს თავ-აშვებულ პარპაშს და ცოტათ თუ ბევრათ შეუმსუბუქოს ?რავალ-ტანჯულ ხალხს მწარე შედეგი შიმშილობისა. ვინ უნდა იკისროს ხალხის ჭირისუფლობა და ამ განსაცდელიდან იმისი ხსნა? ნუ თუ იმ ბიუროკრატიამ, რომელიც კაპას დედინაცვალივით მუდამ გენიას ცეცხლში ახრჩობს ხალხს და რომელმაც ამ დღეში ჩაგდო ის? არა და არა... ხალხს ჭირისუფალი აღარ სჭირია, ის თითონ უნდა აღსდგეს და მოემზადოს საშიშარი მტრის შესახვედრათ! აუცილებელია დამფუძნებელი კრების მოწვევა, აუცილებელია სახელმწიფოს სათავეში ხალხის ნდობით აღჭურვილი პირების ჩაყენება!. შიმშილობა არც თუ ისეთი სენია, რომლის განკურნება არ შეიძლებოდეს. ევროპის დაწინაურებულ ქვეყნებში არც კი იციან რა არის ისეთი პერიოდული შიმშილობა, რომელსაც რუსის ხალხი სასოწარკვეთილებამდე მიყავს. მიზეზი ამისი ის „საშიში განათლება“ არის, რომელსაც რუსეთის მთავრობა დარაჯათ უდგას და თავის სამფლობელოში არ უშვებს. შიმშილობა კულტურულათ ჩამორჩენილ ხალხთა თან დაყოლილი სენია, რომელიც ხალხის გონებრივ და მოქალაქურ აღორძინებასთან ერთათ ისპობა. მაშ უნდა მოისპოს ჯერ ის რკინის ზღუდე, ის ბორკილი, რომელიც ხალხის განათლებას აფერხებს და მასთან ერთათ მოისპობა შიმშილობაც. ვინ მოსპობს ამ მაგარ ზღუდეს?—დამფუძნებელი კრება! აი ერთათ ერთი ძალა, რომელიც დაანგრევს იმ შავ და ბნელ ზღუდეს უმეცრებისას, რომელიც ხალხს გაუხსნის პროგრესის გზას უკეთესი მომავლისაკენ. მხოლოთ ხალხის მიერ არჩეულ მთავრობას შეუძლია საშიშარი სახე შიმშილობის აჩრდილისა უკუ აქციოს, მხოლოთ დამფუძნებელ კრებას შეუძლია კალაპოტიდან გადმოხეთქილ ცხოვრებას ახალი მიმართულება მისცეს.

კავშირი თუ პარტია?

ამ განთავისუფლების ხანაში რაღაც ეპიდემიასავით მოედვა რუსეთის საზოგადოებას პროფესსიონალური კავშირების პოლიტიკური მიზნით დაარსება. დაარსდა კავშირი ვექილე-

ბისა, პროფესსორებისა, ჟურნალისტებისა, კანტორშჩიკებისა და სხვა. ყველა ამ კავშირებს ერთი სენი დაუვათ: მათ ერთმანეთში აურიეს პოლიტიკა და პროფესსია და ლამობენ ერთ პროგრამაზე შეათანხმონ პროფესსიის ყველა წევრები. მართალია, ყოველი პროფესსია განსაზღვრულ პირობებში მოქმედებს, ამ პირობებს გავლენა აქვს ყოველი წევრის აზროვნობაზე და მიმართულებაზე, მაგრამ ეს გავლენა არც იმდენათ ძლიერია, რომ წოდებისა თუ ხელობის ყველა წევრები დაიმორჩილოს და ერთ დონეზე დააყენოს ყველას აზროვნება, ყველას ერთი მიმართულება მიაღებინოს. ეს, რისაკვირველია, მით აიხსნება, რომ ახალი ცხოვრების მიერ შექმნილ პროფესსიაში კაცი შედის უკვე მომზადებული; ხშირათ იგი სულ სხვა წრიდან და ხელობიდან მოდის და ამიტომ შესაძლებელი გამხდარა პროფესსიის წევრთა აზროვნობის სხვა და სხვაობა თუმცა როგორც ვთქვით უმრავლეს შემთხვევაში ერთი პროფესიის წევრნი არსებითათ ერთი პოლიტიკური მოძღვრების მიმდევარნი არიან. მაინც შესაძლებელია სხვა და სხვაობა რის მაგალითს თვით უკვე დაარსებული კავშირების ხანმოკლე ისტორია გვაჩვენებს. მაგალითად ჟურნალისტების კრებიდან გამოვიდა მთელი ჯგუფი მწერლებისა, მარქსისტები, რომელთაც განაცხადეს, რომ კრების მიერ მიღებული რეზოლიუციები შეუძლებელს ხდიან მათ კავშირში შესვლას. მეორე მაგალითი, დიდი ხანია ცდილობენ რკინის გზების ყველა მოსამსახურეთა კავშირის დაარსებას, მაგრამ ეს დღემდინ ვერ მოუხერხებიათ. არც მოხერხდება იმიტომ, რომ უმთავრესი კონტინგენტი ასე თუ ისე უკვე დაკავშირებულა მოქმედ პარტიასთან, ხოლო დანარჩენებში დიდი განსხვავებაა ეკონომიურ მდგომარეობაში.

იმდენათ უფრო ადვილი მოსახერხებელია ასეთი კავშირების დაარსება, რამდენათაც ერთგვარი მასსიდან შედგება პროფესსია. ასეთია, მაგალითათ, ბურჟუაზიული პროფესსიები ვეძილებასა, ექიმებისა, ინჟინერებისა და სხვათა. ყველა ამათი ეკონომიური მდგომარეობა ანუ კაპიტალთან განწყობილება თითქმის ერთგვარია, ამიტომ მათი პოლიტიკური იდეალებიც უმრავლეს შემთხვევაში ერთნაირია. სულ წინააღმდეგს ვხედავთ ისეთ „პროფესსიაში“, როგორიც რკინის გზის მოსამსახურეებია. აქ ერთ კრებულში უნდა მოუყარონ თავი მუშებს, მეისრებს, სიგნალშჩიკებს, მემანქანეებს, კაჩეგარებს, კონდუქტორებს, ფერშლებს, კანტორშჩიკებს, ექიმებს, ვეძილებს, ინჟინერებს და სხვათა, რაც ყოვლად შეუძლებელია — შეუთანხმებელია მუშისა და ინჟენერის, კაჩეგარისა და ვეძილის, უბრალო გადამწერელისა და განყოფილების უფროსის ინტერესები. მათ შესათანხმებლათ მარტო ლიბერალური „ადამიანის უფლებათა“ დაცვა და დროშაზე მისი დაწერა არ კმარა. წავიდა ის დრო საუკუნოთ, როცა ამ დროშის ქვეშ მთელი „მესამე წოდების“ შეერთება შეიძლებოდა; კლასთა ინტერესების წინააღმდეგობამ მეტათ მოიდგა ფეხი და თან იმდენათ აშკარა შეიქმნა იგი, რომ გალატაკებულმა უმრავლესობამ შეიგნო თავისი მდგომარეობა და დღეს იმის ცდაშია, რომ ერთი მხრით თვით მოიკრიბოს ძალები, შეადგინოს ერთი შრომის ინტერესების დამცველი პარტია და მეორე მხრით, ყველა მოწინააღმდეგეს ერთათ მოუყაროს თავი. მაშ როგორ მოხერხდება მუყლეფელ უმცირესობის აგენტებთან, როგორიც არიან ვეძილი, ინჟენერი, განყოფილებათა გამგეები, ბუღგალტერები და სხვა, საერთო კავშირი შეადგინოს გაუვლეფილმა უმრავლესობამ. ასეთი ცდა ნამდვილი ბურჟუაზულ-ლიბერალურია, და რამდენათაც განხორციელდება იმდენათ მავნებელი იქნება, რადგან შეასუსტებს კლასიურ თვით შეგნებას. საბედნიეროთ, იმდენათ წინააღმდეგია ეს ცდა არსებულ ურთიერთების ბუნებისა, რომ სრული იმედი გვაქვს საწადელს ვერ მიაღწევენ ინიციატორები, რა გინდ ვრცელი მოთხოვნები შეიტანონ თავისი კავშირის პროგრამაში.

ეპიდემია ჩვენი აზრით გამოწვეულია მით, რომ განმათავისუფლებელმა ხანამ უორგანიზაციობის დროს მოუსწრო ბურჟუაზიას, რომელიც მეტათ ორგოფ მდგომარეობაშია დღეს. ერთი მხრით, არსებულ ფეოდალურ-ბიუროკრატიულ წყობილება მისთვისაც მეტათ შემავიწროებელია და ამ მიზეზით ის მზათ არის მხარი დაუჭიროს განმათავისუფლებელ ელემენტებს, მაგრამ მეორე მხრით მათი კლასობრივი ინსტინქტი ეუბნება, რომ ამ განთავისუფლებას მოყვება უფრო გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა და აი ეს მოფიქრება ანევინებს უკან; ამ მიზეზით ბურჟუაზია მზათ არის რეაქციას დაუკავშირდეს. ძნელია ასეთი მდგომარეობა, ლიბერალებისათვის სათაკილოც არის, მაგრამ ნამდვილი კია და გამოწვეულია რუსეთის ცხოვრების განსაკუთრებულ პირობით.—არსად, არც ერთ სახელმწიფოში, ასეთ განთავისუფლების საქმეში არ ყოფილა მონაწილე ორგანიზაციით ძლევამოსილი პროლეტარიატი, თუმცა თვით განთავისუფლება ყოველგან მისი სისხლითა და შრომითაა მოპოებული. აი, ეს განსაკუთრებული პირობა აარსებინებს ბურჟუაზულ იდეოლოგებს ხსენებულ კავშერებს. მათ უნდათ „განთავისუფლების“ დროისთვის მოემზადებულ იქმნენ, რომ კარგათ გაანაწილონ ბიუროკრატიის „მემკვიდრეობა“, რადგან იციან რომ ბოლოს და ბოლოს ბატონობა მაინც მათ ხელში გადავა. ასე გვესმის ჩვენ ამ პროფესსიონალურ პოლიტიკურ ავშირთა და კავშირთა კავშირის მნიშვნელობა და წარმოშობა, რასაც მათი პროგრამმა მოწმობს. საკმარისია ოდნავ გავუსინჯოთ კბილი უკანასკნელს. აქ თქვენ ხვდებით ორ პალატიან სისტემას, არა პირდაპირ კენჭის ყრას, ქალთა უფლების უარყოფას, სოციალურ კითხვის გადაფუჩუჩებას, სახელმწიფოს ფორმის გიმოურკვეველობას და სხვა, ერთი სიტყვით ტიპიურ ბურჟუაზულ-ლიბერალურ პროგრამმას, რომლის განხორციელებასაც იღებს მიზნათ კავშირი და თან გვეუბნება, ასეთ პროგრამმას მხოლოთ იმიტომ ვადგენთ, რომ ყველა მოწინავე ელემენტებს მოვუყაროთ თავიო.

რაც უნდა დაირქვას ასეთმა ორგანიზაციამ, აშკარაა რომ ის პარტიაა, და მხოლოთ იმას შეუძლია ასეთ კავშირში მონაწილეობის მიღება, რომელიც არ ეკუთვნის სხვა გარკვეულ პარტიას. ამით აიხსნება ისიც რომ მარქსისტები არ შედიან, ხოლო საცა შევიდენ, გამოდიან ასეთი კავშირიდან. პირველათ კიდევ შესაძლებელ იყო, ეფიქრა კაცს, რომ ეს კავშირები უფრო თავისუფალ საზოგადოების მაგიერობას იკისრებდენ, თავის მიზნათ მოქმედ პარტიების დახმარებას დაისახავდენ, მათ მოქმედების ხელის შეწყობასა, მაგრამ სირამდვილემ უარყო ასეთი შეხედულება—რადგან ამ კავშირთა წევრების უმრავლესობა, როგორც მდგომარეობით ისე პოლიტიკური იდეალებით ბურჟუაზულ წრეს ეკუთვნოდენ. მათ შეიტანეს თავის პროგრამაში ისეთი ფუნქტები, რომელნიც აშკარათ განარჩევენ მათ უკიდურეს მემარცხნე პარტიისაგან ე. ი. თვითონ შეადგინეს პარტია.

ამიტომ დღეს შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს ასეთ პროფესსიონალურ კავშირში და პარტიაში ყოფნა. ეს იქნება ორ პარტიაში თავის ჩარიცხვა, რაც თავს თავათ პოლიტიკური აბსურდია.

ასეთი საერთო კავშირების შედგენა შეუძლიათ დღეს მხოლოთ ბურჟუაზიულ ელემენტებს, მხოლოთ მათთვის არის ხელსაყრელი, რადგან როგორც ზევითაც ვთქვით იმას შეუძლია დააბნელოს კლასობრივი ინტერესების შეგნება დროებით მაინც. ამიტომ მშრომელთა ინტერესების დამცველი, სწორეთ ისე, როგორც თვით მშრომელი, რამდენათაც იგი შეგნებული პოლიტიკური მოღვაწეა უარყოფს ასეთ კავშირს. აქ მათთვის სარჩევი და საყოყმანო არაფერია...

ნ. ელიავა.

ომი და ზავი.

კარგა ხანია ომის შესახებ ჩვენ მკითხველებთან საუბარი არა გვქონია. მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა, მარა დიდი არაფერი მომხდარა. ერთათ ერთი საყურადღებო ფაქტი ბრძოლის ველზე, კუნძული სახალინის აღებაა. იაპონელები დიდი ხანია კბილებს ილესავდენ ამ ლუკმის გასაკრავათ და კიდევაც იგდეს ხელში. სახალინი ანუ როგორც ახლა იაპონელებმა უწოდეს კაბაფუტო ძლიერ მდიდარი კუნძულია, მაგრამ ჩვენს ბიუროკრატიას როდის ჰქონია სიმდიდრის გამოყენების შნო, აქ რომ გამოეჩინა? უმთავრესი დანიშნულება სახალინისა ის იყო, რომ იქ დამნაშავეებს აგზავნიდენ. სხვათა შორის სახალინზე იაპონელებმა 3000-მდე კაცი დაატყვევეს თავისი საომარი იარაღებით.

ხმელეთზე ომი ჯერ მიწყნარებულია, ორივე სარდალი პოზიციას იმაგრებს და ემზადება მომავალი საშინელი ბრძოლისათვის.

აი ამ დროს ამერიკის ქალაქ პორტსმუტში ფრიად საყურადღებო ამბები ხდება. იქ რუსეთ—იაპონიის წარმომადგენლებს სამშვიდობო თათბირი აქვთ გამართული. „ზავი მართლაც რომ ჩინებული საქმეა. ვინ იქნება წინააღმდეგი იმისი, რომ ეს უთავბოლო ჟლეტა შეწყდეს, მეზობელ ერთა შორის მეგობრული კავშირი ჩამოვარდეს, მაგრამ არ შეიძლება არ ვიკითხოთ: ვისთან აქვს იაპონიას მოლაპარაკება, რუსეთის ხალხთან თუ ბიუროკრატიასთან? უკანასკნელ შემთხვევაში იაპონიას შეუძლია სრული იმედი იქონიოს, რომ ზავი მხოლოთ დროებითია და ბიუროკრატიამ თუ კიდევ ქვეყანათ იბოგინა, მშვიდობიანობა მხოლოთ ოცნება იქნება. პირველ შემთხვევაში საქმე სულ სხვაგვარ მიმართულებას მიიღებს. მკაცრი და შეურყეველი სამშვიდობო პირობის დადება მხოლოთ ხალხის წარმომადგენელთ შეუძლიათ.

რუსეთის საზოგადოებაც მომაკვდინებელსა და მიუტევებელ ცოდვას ჩადის, როცა ასეთ დიად კითხვას, როგორიც გამარჯვებულ მოწინააღმდეგესთან ზავის პირობების დადებაა, გარეშე პირებს უთმობს.

ნუ თუ ზავის პირობები იმ ბიუროკრატიამ უნდა შეადგინოს, ვინც ასეთი სამარცხვინო ომი გამოიწვია, ვინც ასე საქვეყნოთ შეარცხვინა ასორმოცი მილიონი ხალხი? რუსეთის ერს არ უნდა ჰქონდეს იმისი უფლება თავის თავს მოუაროს დიახ ამას მოითხოვს სამართლიანობა და ეს უნდა მოითხოვოს ყოველმა შეგნებულმა მოქალაქემ. მხოლოთ და მხოლოთ ხალხის წარმომადგენელთა კრებას შეუძლია კანონიერი სამშვიდობო პირობები დაუდოს მეზობელ ხალხს, და ყოველივე სხვაგვარი მოქმედება ყალბ აქტათ ჩაითვლება. „პრ. კრ.“

აი ასეთია რუსული პრესის სამართლიანი აზრი. ზავი რუსეთ-იაპონიას შორის არის საქმე ხალხის წარმომადგენელთა. მაშ დამფუძნებელი კრება! აი უპირველესი მიზანი რუსის ხალხისა.

ოფიციალური ცნობა

უმაღლესის ბრძანებით ჩემთვის მონიჭებულის უფლების თანახმათ ამიერიდან ვსპობ სამხედრო წესებს ქალაქ ქუთაისს, ფოთსა და ქუთაისის გუბერნიაში, რომელიც შემოღებული იყო მინისტრთა კომიტეტის უმაღლესაი დამტკიცებულ დადგენილებათა თანახმათ 21 თებერვალსა და 9 მარტს.

ამიტომ ვანთავისუფლებ გენ. ლეიტენანტს თავ. ჯაბაკურ ორბელიანს ქუთაისის, ფოთის და ქუთაისის გუბერნიის, ბათუმის და კონტრიშას ნაწილის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის აღსრულებისაგან და წინადადებას ვაძლევ ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს გენ.-მაიორს ფონ-პარკაუს ეხლავ შეუდგეს ბათუმის ქალაქისა და კონტრიშის ნაწილს გენ.-გუბერნატორის თანამდებობის აღსრულებას ამ უფლებით, რომელიც აღნიშნულია სამხედრო წესდებ. მე-19 მუხლში. ამასთანავე გენ.-მაიორის ფონ-პარკაუს გამგებლობას ექვემდებარებიან ყველა ის ჯარები, რომელნიც გაიგზავნებიან ბათუმსა და კინტრიშის ნაწილში და ისინიც, რომელნიც ამ ჟამათ დგანან ხსენებულ რაიონში.

კავკასიაში მისი უდიდებულესობის ნამსტნიკი

გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.

სხვა და სხვა ამბები.

1 აგვისტოს გაზეთ „კავკაზში“ გამოცხადებული იყო შემდეგი **„ოფიციალური ცნობა“.**

„გასულ თვის უკანასკნელ რიცხვებში შეამჩნიეს, რომ ვიღაცა საეჭვო კაცები ნამესტნიკის სასახლესთან ტრიალობდენ ხოლმე და მოხელე პირების სასახლეში შესვლა-გასვლას თვალს ადევნებდენ.

ამიტომ პოლიცია მათ თვალს ადევნებდა და ბოლოს შეიტყო, რომ მათ დამოკიდებულება ჰქონდათ ბევრს სხვა ცნობილ არაკეთილ საიმედო კაცებთან. სხვათა შორის, პოლიციამ შეიტყო, რომ 28 ივლისს ერთმა მათგანმა მიშჩენკოს ფოტოგრაფიაში შეიძინა ფოტოგრაფიული სურათი კავკასიაში საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ კრებაზე მონაწილეობის მიმღებთა. პოლიციამ შეიტყო აგრეთვე, რომ ის უცნობნი, რომლებიც სასახლეს თვალ-ყურს ადევნებდენ, თავს იყრიდენ სასტუმრო „გრანდ-ოტელ“-ში და ამ ბოლოს დროს შიგ მძიმე ბოხჩები შეჰქონდათ. საიდუმლო გამოძიების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს უცნობნი ჩვენებრივ 28 ნომერში იკრიბებოდენ. ეს ნომერი დაქირავებული ჰქონდა ერთ ქართველ ყმაწვილ კაცს, რომელიც თავის მოქმედებით ყველას ყურადღებას იქცევდა.

პოლიციამ გადაწყვიტა, ყველა ეს პირები შეეპყრო.

31 ივლისს, შუადღისას, პოლიციის მოხელენი მივიდენ სასტუმრო „გრანდ-ოტელში“ ამ პირების შესაპყრობათ და უცბათ შევიდენ 28 ნომერში. აქ იმათ ნახეს ოთხი კაცი, რომლებმაც ძალის ხმარება მოინდომეს და ცდილობდენ ხელში აეღოთ სტოლზე მდებარე რევოლვერი „ბრაუნინგის“ სისტემისა. ამავე დროს ერთ მათგანს უნდოდა როგორმე ფეჩთან მისულიყო, სადაც, როგორც შემდეგში აღმოჩნდა, შენახული იყო გატენილი ყუმბარები, მაგრამ პოლიციის მოხელეებმა აღარ დააცალეს და ყველა დროზე შეიპყრეს,—ერთი მათგანი თავშიაც დაჭრეს.

მალე იმ ადგილს მივიდა გამომძიებელი და ტფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორი დოლნიკოვი, დაათვალიერეს მე-28 ნომერი და ფეჩში ნახეს შვიდი ყუმბარა, ეგრეთ-წოდებულ „მაკედონიის ტიპისა“, ზოგი დიდი, ზოგი პატარა. ორი მათგანი გატენილი იყო. ამას გარდა აქვე ნახეს დინამიტი, ასაფეთქებელი ვერცხლის წყალი, ბიკფორდის პატრუქები და ფისტონები. იქვე იპოვნეს სურათები ნამესტნიკისა, პოლიციის უფროსის შირინკინისა და „ტფილისის სოციალისტ-რევოლუციონურ პარტიის“ განაჩენი, რომლითაც გენ. შირინკის სიკვდილი ჰქონდა გადაწყვეტილი.

დამნაშავენი, როგორც იმათი პასპორტებიდან ჩანს, არიან: 1) დავით კაჩაური, 2) შიო პავლიაშვილი, 3) გასპარ კაჩაროვი და 4) მიხეილ პეტროვი. ყველანი დაატუსალეს. გამოძიება სწარმოებს".

—„წითელი რაზმის" მოქმედებამ თავი იჩინა. როგორც ამბობენ სოფ. ხოვლეში ეს ახალი რაზმი თავს დასცემია უკვე ცნობილ „შავ რაზმს". ბრძოლის შედეგი ძლიერ სამწუხარო ყოფილა კეთილ-შობილთა მილიციისათვის. ერთი მილიციონერი მოუკლავთ, რვა თოფი და ოთხი რევოლვერი წაურთმევიათ. ეს მეტათ საყურადღებო ფაქტია თუ ბრწყინვალე წოდების მილიცია გონიერი თვალით შეხედავს, მარა ხათაბალა ისაა, რომ ასეთ უნარს მოკლებული არიან ჩვენი ცნობილი დრუჟინისტები.

— ბაქოს გუბერნატორის თავ. ნაკაშიძის მოკვლის საქმე, გაირჩევა სამხედრო სასამართლოში 16 აგვისტოს. პასუხის გებაში მიცემულია შუშის მცხოვრები სიონ ჟიალიანცი, ბაქოს მცხოვრები—გიორგი მეირამოვი, სპარსეთის ქვეშევრდომი—პეტრე სალატიანცი და ნახიჩევნის მაზრის მცხოვრები მინას აკაშიანცი. „ბ."ს სიტყვით, ამათ ბრალდებათ 11 მაისს ყუმბარის გასროლა და თავ. ნაკაშიძის მოკვლა.

— შემაღლეს მთავრობის განკარგულებით, სომხებს დაუბრუნდა უფლებანი თავისუფლათ სამრევლო-საეკკლესიო სკოლების დაარსებისა, როგორც ამ 15 წლის წინათ იყო. ამას გარდა ხელ-ახლა გადაეცა სომხის სამღვდელოებას და ეკკლესიას ის საეკკლესიო მამულები, რომელიც თავ. გალიცინის დროს ჩამოერთვა და ხაზინას გადაეცა.

— ხაშურში, შიგ ბაზარში მოუკლავთ სტრაჟნიკი ტკაჩენკო, რევოლვერი წაურთმევიათ და გაქცეულან. დამნაშავეთ ეძებენ.

— ერთი სტრაჟნიკი კიდევ სოფ. ცავში მოუკლავს. 13 ივლისს.

— 2 აგვისტოს ტფილისის სამოსამართლო პალატამ წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით გაარჩია პოლიტიკური საქმე. პასუხის გებაში მიცემულია გორის მაზრის სოფ. ტყვიავის მცხოვრები ივანე ზაქარიასძე კეცხოველი. კეცხოველის შესახებ ციხის ჯგრის მასწავლებელს ივანოვს უცნობებია დეკანოზ ვოსტორგოვისათვის, რომ პროპაგანდას ეწევაო. ვოსტორგოვს ეს ამბავი თავის მხრივ პროკურორისათვის გადაუცია. შესდგომიან საქმის გამოძიებას. გაჩხრეკის შემდეგ კეცხოველი ჩაუსვამთ მეტეხის ციხეში, სადაც იგი დღევანდლამდე იმყოფება. როგორც ოქმი გადმოგვცემს, ამ ორი წლის წინათ კეცხოველი შე'ულა ესრეთ წოდებულ „რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში", რომელსაც აზრადა აქვს დაამხოს არსებული სახელმწიფო წესწყობილება. ამ საქმისთვის კეცხოველი შარშან გაზაფხურზე სოფ. ციხის ჯგარში პროპაგანდას ეწეოდა და ცდილობდა გლეხობა აეღელვებია არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ. მცხოვრებთ ურიგებდა მთავრობის საწინააღმდეგო შინაარსის გამოცემებს. იმავე წლის ივნისს კეცხოველს გორში საწყობი ჰქონია საწინააღმდეგო ბროშიურებისა და პროკლამაციებისა, რასაც ქარელში კოსტანტინე ხომერიკს აწოდებდა ხალხში გასავრცელებლათ. ამავე აზრით კეცხოველს გამოცემანი გადაუცია სხვა პირებისათვისაც, სხვათა შორის, ვიღაც სიხარულიძისათვის, რომელიც ვერ იპოვნეს. ხომერიკი 1904 წლის მანიფესტის ძალით გაუნთავისუფლებიათ. კეცხოველს იცავდა ნაფიცი ვექილი ვ. ა. დემიდოვი. საქმის გარჩევამ გასტანა საღამოს 8 საათამდე. პალატამ ხალხის დასწრებით გამოუცხადა განაჩენი რომლითაც ივანე კეცხოველი დამნაშავეთ იცნო და გადაუწყვიტა ერთი წლით ციხეში დაპატიმრება. 3 აგვისტოს კეცხოველმა თავდებობით განთავისუფლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბა-სოფლის ამბები

ქსნის ხეობა. რაც დრო გადის გლეხ-კაცობას თავის გადაწყვეტილებაში უფრო მეტი სიმტკიცე ეტყობა. ორჭოფობამ და ყოყმანმა, მგონია, საბოლოოთ ამოიწურა თავისი ხსენება. გაკაჟდა გლეხი! ხანგრძლივმა ჩაგვრა მდუმარებამ საკმარისათ აგრძნობინა მას ცხოვრების თვალთ-მაქცობა და ხრიკები.

— დროა, ბოდბ მოელის მუქთა ხორაკთა ჰარბობს, ჰარწყმულ თავ-გასულობას, ძარს მუქთა ლაზიები, ძარს უსამართლობა, გაუმარჯოს ადამიანის შრომას, გაუმარჯოს სამართალს! ეს და ამ გვარი ხმები მედგრათ მოსდებია ქსნის ხეობას. ყოველივე მუქარა მთავრობის მხრივ უნაყოფოთ აკრეკება; მიუხედავათ სასტიკი ბრძანებისა ადგილ-ნახნავ არსებული წესი, გლეხ-კაცობა თავისს გზას არ შორდება. სხვათა შორის ბევრგან, როგორც ს. შხამს, ძლიერ უფრთხიან მამასახლისის ან სხვა მოხელის არჩევას, სხვა დაწესებულებათა გზა ხომ კარგა ხანია დავიწუებისა მიცემული. სამაგიეროთ გლეხ-კაცობა თავისაში იჩენს მეტ სიმტკიცეს და ჰატივს ერთობა-სადმი, რომელსაც მოწმობს შემდეგი მაგალითი. ამ ორი-სამი კვირის წინათ სტრაჟნიკებმა, დაატუსალეს რამდენიმე საეკკლო გლეხ-კაცი. ისიც იყო დაუპირეს დუშეთის სააპტემრისკენ გამგზავრება, რომ მოუვარდნ გლეხ-კაცები და ძალით გაანთავისუფლეს თავიანთი ძმები.

ამ დღეებში გვეწყინა გენერალი ამილახვარიც. სოფელ ახალგორში იყო მოწვეული კრებაზე სოფლები. გლეხ-კაცობა მეტის-მეტათ ნაკლებათ დაესწრო. გენერალი არიგებდა მათ ჩამდგარიყვნენ ძველ კალაპოტში, სხვათა შორის ჩვეულებრივ მოქცეოდნენ მებატონეებისაც. როგორც ცოლი არ წაურთმევა ქმარს, ისე მეოთხედები მებატონეთაო—ეუბნებოდა გლეხებს თავადი. ვნახოთ, რამდენათ კასკრის მისი დარიგება ხალხზე.

სოფ. ოძისში (დუშეთის მაზრა) აღმოჩნდა რამდენიმე ჰირი, რომელნიც თურმე მეტათ სიზიზღარ და უზნეო ვაჭრობას ეწეოდნენ. ძლიერ ეუცხოვება ადამიანს ამის კაცობა ახლანდელ დროში, მარა ეს ვაჟბატონები თურმე ბავშვებით ვაჭრობდნენ. ამ წინაზედაც მოუტანიათ მეზობელ სოფელში რამოდენიმე ბავშვი და კოჯორში ვიღაც თათარისათვის მიუყიდნიათ. რაღაც შემთხვევით ამ ბატარეებს დაუხვედრიათ თავი აქედან და შინამდე მოუხვედრიათ სადაც თავისი ჰირით ამბობენ თავიანთ თავგადასავალს. თურმე მეიდველებს სხვებიც ჰყოლიათ ნაყიდი, რომლებიც ამ ბატარებთან ერთათ ყოფილან დამწყვდეულნი. ამ დღეებში, მკის დროს ამათ იცნეს თავიანთი დამკვრები, აცნობეს ხალხს, რომელმაც დაიჭირა ოცი და სასტიკ სასჯელსაც უმზადებს.

ვინა-ვარ.

—

ლეჩხუმი. ლეჩხუმის მაზრა იმ გვარ კუთხეს წარმოადგენს ჩვენ მრავალტანჯულ ქვეყანაში, რომელსაც რუსები სიფუძვლიანათ „სადთვე კუნჭულს", ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, „დათვის ბეჩოს" უწოდებენ. აქაური ბატრიარქალური და ტრადიციონურ ფორმაში ჩაყენული ცხოვრება დიდი ხანია დახავსებულ და ულარტებით დაფარულ კალაპოტში მიმდინარეობდა წუნარათ და უხმოთ—თითქოს სადათის ძილს შეეჭვროს და სიცოცხლის ნიშანწუალი გამოლეოდეს.

სდუმდა ხალხი და ამ იდიდებურ, სამარისებურ სიჩუმეს დრო გამოშვებით არღვევდა მხოლოთ „ბრწყინვალეთა" სასახლეებში გაბმული „ჭრი-ჭრიალო", ბიუროკრატიის თავგასული თარეშობა და წუნარი, მაგრამ გულიდან ამოხანხეთქი კვნესა ჭაბან-გაწყვეტილი, დამონავებული გლეხისშვილისა. მაგრამ ბრძენთათ უთქვამს ხალხს, „დროსი მეფობენ და არა მეფენიო". დადგა დრო და ცხოვ-

რებამ თავის ადგილ მაინც აიღო. ჯერ კიდევ ქვეშე მოძმეების ადრიანმა ბრძოლის კიჟინმა გაჭკაფა გზა, გადმოაწვრა მთებზე და ამირანის მოტაცებული ცეცხლის ნაპერწკალივით მოედო მთელ არემარეს; გაუღვიძა ხალხს ტკბილი, სანეტარო იმედები განთავისუფლებისა, ახალი-დამაინური ცხოვრებისა. ხოლო საუკუნოობით დამონავებული, შეგნებასა და გათვითცნობიერებას მოკლებული გლეხი ვერ ბედავდა და არც იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ბუნდოვანათ და გაურკვევლათ ბუტბუტდა მის გონებაში აზრი, რომ მამა-პაპური ცხოვრება შეუძლებელია, რომ დრო იცვლება. ბევრი სხვა და სხვა ახალი მოთხოვნილებანი გაჩნდა; რომ სპასტონი დაბას და ბეგარას ათასგვარი გადასახადები ბირდაბირი და არა ბირდაბირი მიემატა; რომ ცხოვრების წესთა ფუდი გადაიქცა, მაგრამ ეს „სიზმარი დითონი“ ჭირით და ვაებით ნაშოვნი არ ჩარდება მის ჯიბეში და ათასი გამოტოტინებული ხელი ბატონისა, მდგლებისა თუ ბიუროკრატიის აღლის ხელიდან; მიწა კი—ეს უმთავრესი სახსარი მისი ცხოვრებისა ისევ ბატონის საკუთრებათ რჩება, ან ვინმე ჩარჩის ხელში გადადის, მას კი ბოგანოთა რაზმში გაწვევის. ხედავდა ყოველივე ამას სწუალი გლეხი და ძალდატანებით იკლავდა თავის გულში მწარე სევდას. დღეს კი, როდესაც ჭერიც გაუღენთილია მომხიბლავი, დიადი განმათავისუფლებელი მოძრაობით, რასაკვირველია, ჩვენშა დიდი ხნის სავანემაც გამოიღვიძა და მშრომელი ხალხის ფერხულში ჩაება. გაწუდა ჯაჭვი მონობისა; დაიბადა დიადი აზრი, რომელმაც გააბრწყინა წუდიადით მოცული ხალხის გონება, სულიერათ გარდაჭქმნა და ახალი ცხოვრება დაწუებია. დიდი ხანია შეწუდა დამოკიდებულება მართებლობასა და გლეხებს შორის. დიდებ გასუქებული მოხელეების მაგიერ სინდისიერათ და სწრაფათ განაგებენ საქმეებს ასისთავები და ათასთავები. ადარ ახსოვს ხალხს ადარც დრამა, ადარც სახელმწიფო გადასახადები, ადარც ნადელი და, მით უმეტეს, ბატონებისათვის და მოხელებისთვის გასაგზავნი ძღვენი.

თუ რამდენათ ეხმარებათ ეხლა თავად-აზნაურობა აქაურ გლეხებს ამას შემდეგი ბატარა, მაგრამ საგულისხმო შემთხვევა გვიჩვენებს: ამ დღეებში ერთმა ძველებულმა თავადმა სახლში მიმავალ ახალგაზდა გლეხს დაუძახა «ეი. ბიჭო, დაჯანურზე ჩაირბინე ხვალ დილით ადრე და კალმახები დამიჭირე; ეგებ სხვებიც წაიყოდო უფრო ბლომათ და ჭერთ“-ო. ახალგაზდამ გულთანათ ჩაიცინა და თამამათ უპასუხა თავის ძველ ბატონს: ,,ერიჭვა! მგონია არ გაგიგია შენ ახლა‘ ერთობა რომ არის‘‘-ო და გაუდგა გზას. კარგა ბლომათ ხალხი შეკრებილიყო და უველას დიმილა გამოეხატა სახეზე, ხოლო ჩვენმა სხვანაირი—ადათა უველაფერი-საისხლის პატრონმა მწარეთ ამოიოხრა და გასწია შინისაკენ. ასე წაუხდათ დრო ჩვენ გეთილშობილებს და მწარე ბოდმა დაუტრიალდათ გულში. მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ ამ ძველ რანიდების შთამომავალთა იმედი სულ მთლათ გაცრუებოდეთ და ხსნის არსაიდან ელოდენ.

პირველ ყოველის ის ნაწილი ბრწყინვალე წოდებისა, რომელიც მუშტის სიმსხოთი ზომავს ყოველისფერს, ფიქრობს ,,ბამბუდების‘‘ რაზმი შეადგინოს და, თუმცა უნივერსიტეტში ნამყოფი და მაშასადამე ახალი სტრატეგიული მეცნიერების მცოდნე არავინ ყავს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ძველებური სიმარი ტაქტიკა და მაშასადამე ძველებური მოთავეც გამოადგება. მეორე ნაწილი, უმცირესობა, რომელსაც ნასწრეტებში ძრომა და დაქუცობა უფრო ხელსაყრელათ მიაჩნია, ხერხით დამის გაყიდეს ფონს. ამისათვის სულ ჩვეულებრივ ბრიკსს ხმარობს: ხალხის ,,მომხრეს‘‘ და ხალხის ,,მოკავშირეს‘‘ ნიღაბი აქვს ათვრებული და რიხიანათ, დარბაისლურათ მსჯელობს ხალხის კეთილდღეობაზე, მაგრამ ყოველივე მათ ნათქვამს ,,ავტონომიზმის‘‘, ან ,,ფედერალიზმის‘‘ სუნი უდის.

ასეა, თუ ისე, ის კითხვა, რომელიც დღეს ცხოვრებამ წამოაყენა უსათუოთ თვით ცხოვრებამ უნდა გადაწყვიტოს და დაბოლოვოს. ხელახალი ძალმომრეობა, ძარცვა-გლეჯა და ხალხის გასირთობათ ეგუნების ულირსი კი იმდენათვე გამოადგება ჩვენ ბრწყინვალე წოდებას, რამდენათაც ეს გამოადგა მათ მოკავშირეს და მეგობარ ბიუროკრატიას.

წერილის დათვებისას მსურს გამეთხუდს, რომ სიახრულის მომგვრელი სიფხიზლე ჩვენი დეჩხუმის საერთო ბედნიერებას არ შეადგენდეს აქამდის მაინც, რადგან იყო და არის ზოგიერთი სახოგადოება, მათ შორის განსაკუთრებით დიდებაშის, სადაც ,,ახალთაობას‘‘ მცირე ნიადაგი ქონდა და ესეც არ ეთვლიათ‘ ჯაშუშების სიმრავლეც აწუხებდა. მაგრამ დღევანდელი მოძრაობის სტიქიონურმა სიმძლავრემ აქაც გამოუთხარა დამბალი ბალავერი ძველ ცხოვრებას და დიდებაშელებიც გამოაეენა ბრძოლის ველზე. ამ დღეებში მოხდა აქ ურიდობები და ხალხმა ფიცის შემდეგ ამოირჩია ახალი მოთავეები; შეკრა მათთან ხირობა დაემორჩილოს მათ და გაწევიტოს ეოველი დამოკიდებულება ბიუროკრატიასთან.

გიორგი ხვანი.

—

ზემო რაჭიდან. 19 იულისს შეიკრიბა ზემო რაჭის შუა ნაწილი, უწერის სახოგადოება (სოფლები: ზემო უწერა და რუსაანთი, ნიგაზეთი, ფარანეში, გომი, ჯორითია, ჯმიერეთი და სხვა სოფლები ამ სახოგადოებისა). დაიწყო თავის ეოფა-ცხოვრებაზე სჯა ბაასი და შეუდგა თავის თავის ხატრონობას. გადაწყვიტა უგუდება ,მამინატვლისა‘‘ და თავისი საქმეების პოის და ასის თავების შემწეობით მართვა-გამგეობა. გადაწყვიტა პოლიცია-კანტელარიასთან დამოკიდებულების შეწყვეტა. აქაც უნდა შეგნიშნო, რომ ზემო რაჭა, მეტათ შეგიწროებულია უმიწა-წულობით; ხსენებული სახოგადოება და ზემო სოფლები სახსახარო გლეხებათ ითვლებიან. თითოქმის მთელი ტეე და სამუშაო მინდვრები სახსახარია, უამ ტეეოთ კი მათ სამუშაო არა აქვთ. მეტათ შეგიწროებული არიან გლეხები ავრეთვე ლესრიხის ,,დარაჯებისაგან‘‘. ეს გაბატონები ჯერ მიტემენ ნებას გლეხს მოჭრას სახრე ან სარი, შემდეგ კი თითონ დაედევნებიან უკან და დაიჭერენ ხოლმე ,,ქურდთ‘‘. საქმე, რასაკვირველია პოლიციამდე არ მივა, მარა ჩოხა-ახალოხის გახდამდე კი. უსათუოთ უნდა ვთხოვოთ თავი ამ ,,ბეიგ-ხუნხუზებიდან‘‘-ო გაეძახის ზემო რაჭველი გლეხი.—ამის კი მხოლოთ ერთობა მოსთხოვსო... აი მათი მოთხოვნილებანი:

1) რახან აუცილებელია ხშირი კრებების მოხდენა და ერთი ერთმანეთთან მოლაპარაკება, ამიტომ ვთხოვულობთ მოგვეცეს ნება თავისუფლათ შეკრების და ლაპარაკისა.

2) რახან უსწავლელი კაცი ეხლანდელ დროში ბრმაა, ამიტომ ჩვენი შვილები მაინც ასწავლონ ამ სიბრმავეს, ამისათვის ვთხოვულობთ უფასო და სავალდებულო სწავლებას.

3) გადასახადი არ უნდა სდებოდეს, ვისაც 50 თუმანი არ შემოდის.

4) მღვდელმა მიიღოს ჯამაგირი, ჩვენ კი მცირედი უნდა გადვიხადოთ წირვა-ლოცვასა და ქორწინებაში.

5) რადგან ჩვენი მთა და ჩვენი ტეე აუცილებელი საჭიროა ჩვენთვის, ამიტომ მას საკუთრებათ ვთხოვულობთ. ჩვენ უკეთ მოუვლით ჩვენს საკუთრებას.

ტ. გ—ძე.

—

სოფელი ყვარელი. 16 მკათათვეს სოფელი ყვარელისა და ძველ გავახის სახოგადოებებს ესტუმრა თავადი ზ. გ. ჭავჭავაძე. ხალხი ამ დღით სამუშაოზე იყო გასული, თუმცა წინდაწინვე იცოდენ თ-დის მობრძანება. ერთობას ძალიან ტოტა ხალხი დაესწრო. თავადს მიეგებენ ორთავე სახოგადოებიდან ასამდე კაცი და მუდუქნე. თავადი მობრძანდა სტრატეგიკების და დრაგუნების თანხლებით. ეკლესიასთან დაუხვდენ დუქნებიდან მორეკილი ხალხი და ერთიორიც აღგილობრივი თავადი. ერთობაზე წაკითხულ იქმნა რუსუ

დათ და ქართულათ ნამესტნიკის განცხადება, რის შემდეგ გლეხებმა მოაგონეს გენერალს, რომ ბევრი მათი მოთხოვნილებანი, განსაკუთრებით აქციზის შესახებ გამოშვებულია ამ განცხადებაში. თავადმა ადუთქვა, რომ უველა საკითხებს კომისია განიხილავსო, ოღონდ ნუ დაუჯერებთ „მავნე მატყუებელ ბერებს“, სამართლიანი მიწებს ნუ შეეხებით, ის კერძო საკუთრებას შეადგენსო. ხოლო როცა გლეხებმა მიწის სიტუაციაზე მიუთითეს, „გამრავლდით შვილო და ჩვენ რა ვქნათ“ უპასუხა გენერალმა. ამის შემდეგ აღარც გლეხებმა შეაწუხეს თავი და ურიადობა დაიშალა, ხოლო სტუმრები კი ო-დ იური მიხეილის ძე ჭავჭავაძესთან მიბრძანდენ, სადაც დახვდათ გულუხვი მასპინძლობა.

წიწაკა.

რუსეთის ქრონიკა.

პუტილოვის ქარხნის მუშების მდგომარეობა.

მესამე დღეა რაც პუტილოვის ქარხნის კარებთან უფასოთ აძლევენ საჭმელს „უღარიბეს მუშების ცოლშვილს კერძო ქველმოქმედების ხარჯითო.“ — მსხვილი ასოებით აწერია კარებზე.

საჭმელს ურიგებენ 3 საათზე, 500 დედას და შვილს, რომელნიც სხვებს „მიასწრებენ“. მაგრამ 500 სული პირველ საათზე უკვე თავ მოყრილი. ორ საათზე კი 1500 დე იკრიბებიან. ეს მშიერი ხალხი შესანიშნავის სიმშვიდითა და თავშემოკავებით იკრიბება. არც ცრემლები, არც ყვირილი, არც ჩივილი. მხოლოდ ბავშვების ტირილი და სახის რაღაც განსაკუთრებული გამომეტყველება იქცევს ყურადღებას, რომლითაც ადრე მისულებიუხვდებიან გვიან მისულებს. უსიტყვოთ მაგრამ მჭერმეტყველურად გეუბნება, თუ როგორ ბრძოსთან გაქვს საქმე. შიგ გულის სიღრმეში გწვდება ეს გამომეტყველება და მწუხარებით გივსებს სულს. თავმოყრილ ხალხის სახეზე წაიკითხავ შიშს, ვაი თუ ახალ მოსულმა მაჯობოს, ვაი თუ მან დამასწროს ლუკმა პურის აღებაო, მაგრამ ამავე დროს თითქოს სცხვენიან კიდეც ამგვარი გრძნობისაო.

მშიერი ხალხი სულ მოდის და მოდის. მოდიან დედები ძუძუმწოვარა ბავშვებით, მოდიან ბავშვებიც. რამდენი გროვდება? რამდენი პირში ნერწყვ-მომდგარი უკან გაბრუნდება? რა თვალებით შეხედავს 2 აათასი უსაქმილოთ დარჩენილი მშიერი 500 ბედნიერებას? უმჯობესია, ნუ მკითხავთ ამას.

პუტილოვის ქარხნის გაჩერება არ ყვირის, ის პირდაპირ არა გხვდება თვალებში, იგი მიმალულია. მაგრამ საშინელია ეს გაჩერება: საქმე მარტო პური არ არის — ბევრ ოჯახს წვეთი წყალიც არა აქვს სასმელათ, ვინაიდან სახლის პატრონებმა აიღეს და მიკეტეს წყლის მილები, როცა ფული ვერ მიიღეს სახლის ქირათ. ღმერთმა უწყის, რა მოელის ამ მუშებს ხვალ, ხვალ-ზეგით. მაგრამ დღეს-დღეობით კი ულუკმაპუროთაა დაცვივნულა აუარებელი ხალხი.

(„სინ ოტ“)

—

ნავთის მწარმოებლებს ქ. პეტერბურგში დიდძალი აპარატი შეუძენიათ. მიზანი აპარატის შეძენისა მიდიციის დაარსება არის, რომლითაც თავისი ნავთის წყაროება უნდა დაიფარონ. (ს. ო.).

—

გაზეთი «რუსი»-ის სიტყვით ახლო მომავალში პეტერბურგის გრადონაჩალნიკის ბრძანებით აკრძალული იქნება მთავრობისგან მოწონებული ჯიხის გარდა სხვა გვარი ჯიხის ტარება. ამბობენ, რომ ამ საქმეზე მთელი კომისია მუშაობდა, რომელმაც შეიმუშავა განსაკუთრებული ზომა და სამაგრე სასეირნო ჯიხისა. ვინც ამ ბრძანებას დაარღვევს და სხვა გვარ ჯიხს დაიჭერს, პასუხის გებაში იქნება მიცემული. ამით უნდათ მოსპონ ჯიხების სიბრძოლველ იარაღათ გამოყენება, როგორც ეს ამ წინაზე ერთ-ერთ სომხეთ ქალაქში მოხდა. (ს. ო.).

—

28 ივლისს, პეტერბურგიდან დაბავაში კრონშტადტის სამხედრო სასამართლოს სესია გაემგზავრა, აქ მომხდარ მატროსთა აჯანყების გამოსაძიებლათ. როგორც მოგეხსენებათ ალექსანდრე მესამის ნავთ სადგურში მეზღვაურები აჯანყდენ და იარაღები დაყარეს. სამართალში მიცემულია სულ 106 კაცი. სამე პირველ აგვისტოს გაირჩა. (ს. ო.).

—

როგორც ამბობენ გზათა სამინისტროს განზრახვა აქვს: რკინის გზის მოსამსახურეთა შეიდებისათვის სავალდებულო სწავლება შემოიდოს.

—

მთავარ შტაბის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს გენ. მაიორს ბოდიავინოვს შეუნიშნავს, რომ სახელმწიფო დღეებში სადმრთო დიტურგიას ზოგიერთი სამხედრო პირები არასოდეს არ ესწრებიან. ამიტომ ბრძანება გასცა შემოდებულ იქნას შტაბის უფროსის წაწილში აღნიშნული სამსახურის მორიგეობა. (ს. ოტ.).

—

პოლტავიდან ატეობინებენ გაზეთ „რ. სდ.“ რომ სათადარიგო ჯარის კაცებმა დიდი ზარალი მიაყენეს ვაჭრებსო. დაზარალებულნი ადმინისტრაციას სჩივარს უცხადებენ.

—

ობუხოვის ქარხნის მუშებმა ტელეგრამით მადლობა გამოუცხადეს თავიანთ გერმანელ ამხანაგებს ამ უკანასკნელ გაჭირვების დროს დახმარების აღმოჩენისათვის. (რ. ვ.).

—

ახლო მომავალში ვილნის ოლქის სამხედრო სასამართლოს სესია ქ. რიგაში გაირჩევს საქმეს დატაში მუშის რიკსტინისას. რიკსტანის განუზრახავს ასოვეთქებულ მესაზათა მოსპობა და ცენტრი გაუჩენია სანუობისათვის. ამით მას უნდოდა ომის გაგრძელება შეუძლებელი გაეხადა. ცენტრი მალე ჩაქრეს და განზრახვა განზრახვათ დარჩა.

უცხოეთი.

შვეცია. სოციალ-დემოკრატიული პარტია. ამ რამოდენიმე ხნის წინეთ შვეციის სატახტო ქ. სტოკჰოლმში მოხდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის კრება, რომელმაც დაამტკიცა პარტიის გამალებული ზრდა და ძლევამოსილება. კრება გაგრძელდა ცხრა დღე. კრებაზე წარმოდგენელი იყო 63 მუშათა ორგანიზაცია 174 დელეგატით. სულ კი პარტიაში შედის 114 ორგანიზაცია 804 განყოფილებით. პარტიის წევრთ რიცხვი მეტათ ჩქარა მატულობს; 1904 წლიდან კრებამდე, ე. ი. ერთი წლის განმავლობაში ეს რიცხვი 54.522-დან 63.023 ავიდა. აგიტაცია შეუჩერებლათ წარმოებს, პარტიის მოხდენილ დემონსტრაციებში უკანასკნელი წლის განმავლობაში მონაწილეობა მიუღია 80.000 კაცს.

პირველი მაისი იდღესასწაულა 140.000 მუშამ. პარტიის შემოსავალი უდრის 88.000 კრონს. ქვედა პალატაში პარტიას ყავს 4 დეპუტატი. ყველა ეს ციფრები თავის თავათ არაა დიდი, მაკრამ შვეციისათვის ისინი მეტათ აჩქარებულ ზრდას ნიშნავენ.

შვეციის პარტიის ორგანიზაცია შემდეგია. ცენტრალური ორგანო შედგება ადგილობრივ ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. ადგილობრივი ორგანიზაცია ანუ კომიტეტი კი შედგება შეერთებული პროფესიონალური კავშირებისაგან.

პარტიის კრებას წარუდგინეს წინადადებანი პოლიტიკური და პროფესიონალური ორგანიზაციების დაშორებისა, მაგრამ უმრავლესობა 132 წევრი 40 წინააღმდეგ იმ აზრს დაადგა, რომ პარიქით საჭიროა უფრო მტკიცეთ დაუკავშირონ ერთმანეთს მუშათა მოძრაობის პოლიტიკური და ეკონომიური მხარე. პარტიის უმრავლესობის აზრით სწორეთ ასეთი ტაქტიკით აიხსნება პარტიის ასეთი გამძლებული ზრდა და ამიტომ ამ გზის გვერდის ახვევა შეუძლებელია.

შვეციისა და ნორვეგიის უნიის (კავშირის) შესახებ პარტეიტაგმა გარკვეულათ გამოთქვა აზრი, რომ მისთვის სულ ერთი იქნება თუ არა რამე საზღვრები: პროლეტარიატის ინტერესები სოლიდარულია ყველა ქვეყნებში, და თუ ნორვეგიას მაჰინია რომ ცალკე დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოყოფილი უკეთ შეძლებს იგი თავის მოქალაქეთა პოლიტიკურ უფლებათა თავისუფალ და ფართო განვითარების უზრუნველყოფას, რასაკვირველია შვეციის მუშათა კლასი მხოლოთ თანაგრძნობით მიეგება ასეთ განმათავისუფლებელ მოძრაობას.

კრებას მსჯელობა ჰქონდა აგრეთვე მილიტარიზმის შესახებ; კამათის დროს თავი იჩინა ორმა მიმდინარეობამ: ერთი სრულიად წინააღმდეგი იყო ყოველგვარი მილიტარიზმისა და თავის თავს აღიარებდა მის დაუძინებელ მტერათ, წინააღმდეგი იყო სახალხო მილიციისაც. მეორე მიმდინარეობა დღევანდელ პირობებში მხოლოთ მუდმივი ჯარის მოსპობასა და მის ნაცვლათ, მთელი ხალხის შეიარაღებას თხოულობდა. უმრავლესობა (92 წინააღმდეგ 75-სა) უკანასკნელ აზრს მიეხრო და ეს ფარმულიროვკა შეიტანეს პროგრამაში.

დიდი კამათი გამოიწვია საერთო გაფიცვის საკითხმა, რომელიც ასე იყო დაყენებული: ღირს თუ არა წელს საერთო გაფიცვის მოხდენა რომ ამით არჩევნების სისტემა შევცვალოთო. საერთო გაფიცვას ყველგან ყავს როგორც გატაცებული და მცველები, ისე არა ნაკლებ გატაცებული მოწინააღმდეგენი. უკანასკნელმა წლებმა დაამტკიცა, რომ ასეთი გაფიცვა სრულებით არ არის ისეთი „საერთო უაზრობა“. როგორც წინეთ ეგონა ბევრს და ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ჩვენი რუსეთი—აქაური საერთო გაფიცვები მთელ ევროპას აკვირვებენ. შვეციის პარტეიტაგი დიდი თანაგრძნობით შეხვდა საერთო გაფიცვის იდეას, მაგრამ წელს ვერ დაინახა შესაძლებლათ მითი სარგებლობა, რადგან შიშობდა ვაი თუ ვერ შევძლოთ მისი განხორციელება და მით შეიძლება სახელი გავუტეხოთ თვით ამ დიად პრინციპსო.

ასეთი იყო პარტიის კრება შვეციაში. გადაწყვეტილია რომ მომავალში უფრო ხშირ-ხშირათ მოიწვიონ ხოლმე ასეთი კრება რასაც რასაკვირველია დიდა მნიშვნელობა ექნება არა თუ ადგილობრივ პარტიისათვის არამედ საზოგადოთ საერთა-შორისო სოციალ-დემოკრატიისათვისაც. ასეთი კრებები აცნობს უმთავრესათ ერთმანეთს სხვა და სხვა სახელმწიფოს საზღვრებში მოქმედ პარტიებს.

შვეიცარია. აქაც მოხდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის კრება ქ. ლოზანაში, მაგრამ მისი საგანი უფრო ვიწრო იყო. შვეიცარიის სოციალ დემოკრატიული პარტია შეიკრიბა უმთავრესათ სამოქალაქო დებულების გასარჩევათ. უფრო ამ დებულების ის ნაწილი აინტერესებდა პარტიას, რომელიც შეეხება ეგრეთ წოდებულ სამოქალაქო ხელშეკრულობებს, რადგან ამ ნაწილს აქვს უფრო მჭიდრო კავშირი მუშათა კლასის ყოფა ცხოვრებასთან, აქ განისაზღვრება დამქირავებელთა და დაქირავებულთა განწყობილება, კანონმდებლობის ამ ნაწილს შეუძლია მეტ-ნაკლებათ ალაგმოს კაპიტალისტთა მიერ მუშის ექსპლოატაცია.

კრებას დაესწრო 268 დელეგატი. პარტიამ დაადგინა რამდენათაც შესაძლებელი იქნება უარყოს ეს ხელშეკრულებანი თუ მასში არ იქნება შეტანილი ისეთი ცვლილებები, რომელიც საკმათო უზრუნველ-ყოფენ მუშათა უფლებებს. ექვსველმა წევრებმა შეიტანეს კრებაში წინადადება, რომლითაც იწვევენ პარტიას რომ მან ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს იმ ჯარის კაცთ, რომელნიც სამსახურს თავს იმ მოსაზრებით რომ მოწინააღმდეგ ჯარის მოქმედებაში. ამავ წინადადებაში იყო მოქცეული მოწოდება სამხედრო ბიუჯეტის უარყოფისა და აგრეთვე ჯარის გაფიცულთა წინააღმდეგ მოქმედების აკრძალვა. ამ წინადადებათა შესახებ საბოლოო მსჯელობა გადიდო მომავალ განსაკუთრებულ კრებისათვის, რომელმაც უნდა იქონიოს მსჯელობა საზოგადოთ სოციალიზმის, ანტიმილიტარიზმის და არმიის განწყობილების შესახებ. აი ასეთი კითხვებია წარმომდგარი საზღვარგარეთელ პარტიების პრაქტიკულ მოქმედებაში.

განა ეს მოსათმენია?

შავებში გამოხვეული,
თმა გაწეწილი მწუხარე,
კვნესის, ქვითინებს სალომე
ცრემლები სცვივა მდუღარე.

წინ უძევს შვილის ცხედარი
მტარვალთა ხელით მოკლული
ოდესაც უსამართლობას
ებრძოდა გაფთრებული.

თავზედ ადგია საბრალო
და მოთქვამს: „შვილო, შვილოო,
ვაი ვაგლახით ნაშობო
და ტანჯვით გამოზდილოო,

შენ იყავ ჩემი ნუგეში
პატრონი ერთად-ერთიო
ჰირის და ლხინის მიზეზი
და სალოცავი ღმერთი;

მაგრამ შენც ბოლო მოგიღო
მტარვალთ უწმინდურ ხელმაო
სიმართლისათვის მებრძოლსა
უსამართლობის მცველმაო...“

და შვილის ცხედარს საბრალო
ზედ ეკონება, აკვდება
უკაცნის გულ-მკერდს გაგმირულს
მდუღარე ცრემლათ ადნება.

ხალხი სწუხს.. გულზე ედება
შურის ძიების გენია,
და ამბობს: „მუსრი მტარვალებს!
განა ეს მოსათმენია?!“

ვ. რუხაძე.

დისციპლინა. (რუსს. ვედ.)

ამ ბოლო ხანებში ხშირათ გაიგონებთ ჩვენში დისციპლინის დაქვეითების შესახებ საყვედურსო, ამბობს გაზეთი და მართლაც ყოველი მხრიდან მოსულოთ ეს ისმის: „ქვეყანა გაირყვნა, ზრდილობა-პატიოსნება დაიკარგაო,“ ის ვაჟბატონები, რომელნიც შეჩვეულნი იყვნენ პატივისცემა-მორიდებას, რომლებიც თავის ღირსებას სხვისი მორჩილებით ზომავდენ, რასა-

კვარველია წვერებს დაიგლეჯენ და ღაწვებს დაიხოკავენ, ვინაიდან ასეთი მონური მორჩილება-დისციპლინა, ასეთი ზრდილობა პატიოსნება, მართლაც რომ წარსულს ბარდება.

წარმოიდგინეთ ჩვენი თავადებიც კი აცხადებენ ერთგვარ საყვედურს იმ „ზრდილობის„ დაკარგვის შესახებ, რომლითაც ქართველს თავი მოსწონდა ძველათ, როგორიც მის ერთ საამაყო ღირსებას შეადგენდა.

ეს ზრდილობა იძულებულს ხდიდა გლეხ-კაცს ბატონის დანახვაზე წელში რკალივით მოხრილიყო და თავმოშვლეპილს შუბლი მიწაზე დაეკრა. ეს „ზრდილობა„ აიძულებდა იმავ გლეხ-კაცს ბატონთან თავმოშვლეპილს ელაპარაკნა და ხშირათ მუხლზედაც ამბორი ექნა. ეს მართლაც „საამაყო„ თვისება იყო ქართველი ხალხისა და საფუძვლიანათ გლოვობენ დიდებულნი.

აღნიშნული წერილის ავტორს სახეში აქვს სიზოგადოთ დისციპლინა, რომელიც წეს-რიგის დამყარებასა და მორჩილებას ნიშნავს. დისციპლინა არის: გონებრივი და ზნეობრივი, თუმცა მეორე პირველოთ წარმოუდგენილია. გარდა ამისა ავტორის აზრით არის საზოგადო და სპეციალური დისციპლინა,—უკანასკნელთ ეკუთნიან მაგ. სკოლის, ფაბრიკა-ქარხნებისა, სამხედრო და სხვა მრავალი ამგვარები.

ძველთაგან ის აზრი მომდინარეობს საზოგადოებაში, რომ დისციპლინას შეიქმს მხოლოთ და მხოლოთ სიფხიზლე. ამ უმსგავსო აზრისაგან ბევრი ჯერაც არ არის თავისუფალი და წეს-რიგის დამყარების პირველ საფუძვლათ ჯერ კიდევ ღრმად ფესვიანი სისასტიკე მიაჩნიათ.

ამ ძველი რწმენის მიხედვით სკოლებში და სხვა ამგვარ დაწესებულებებშიაც უფროსთა თვითნებობას საზღვარი არა ჰქონდა. მოსწავლეებს სცემდენ, როზგავდენ, კარცერებში აწყუდევდენ, მშიერს ტოვებდენ, სალდათათ აწესებდენ, სკოლიდან რიცხავდენ, აჩოქებდენ და სხვ. ქარხნებში, სადაც დისციპლინა და მუშათა ყველფა ერთმანეთთან მჭიდროთ არის შეკავშირებული, მუშებს უზრდელათ ექცეოდენ, თხოულობდენ მათგან სრულ მორჩილებას, ადებდენ თავის სურვილისამებრ უზომო ჯარიმებს. ანგარიშის დროს სატყუებდენ, სამსახურიდან ითხოვდენ და სხ. ხოლო როცა მუშათა მოთხოვნილებას საერთო ხასიათი მიეცემოდა, მაშინ სამხედრო ძალითაც აწყნარებდენ და მრავალ მათგანს სისხლის სამართალში აძლევდენ.

მაგრამ უმთავრესათ დისციპლინის სისასტიკე სამხედრო სამსახურში დამკვიდრდა. ეკატერინე მეორეს დროიდან ვიდრე გასული საუკუნის 60 წლებამდე ჩვეულებრივი საშვალება იყო სამხედრო დისციპლინის დაცვის დროს ცხვირში მუშტების ჩარტყმა, სახეში ჩაფურთხება, როზგით ცემა, ამხანაგთა რაზმში ჩატარება, და სხვა მრავალი ამგვარები. დისციპლინა ამ ხანებში იმისთვის უფრო იყო საჭირო, რომ ჯარის კაცს წაღების წვერი რიგიანათ მოეშორებია ერთი მეორისაგან, თითონ კარგა გაჭიმულიყო წელში, სიარულის დროს ფეხი არ აშლოდა, ბრმა მორჩილი ყოფილიყო უფროსებისა, და ერთი სიტყვით სხვა ასეთი წვრილმანები უკლებლივ შეესრულებია. მიუხედავათ იმისა, რომ მრავალმა ძველმა ჩვეულებამ დრო მოჭამა და დღევანდელ ცხოვრებას ალარ ეფერება, მაინც ბევრი ნაშთი ძველი ჩვეულებისა დღესაც ხმარებაშია: უდიერი საქციელი, ცემა-ტყეპა, ვინც თვალში არ მოგეწონება იმათი დევნა, უსაფუძვლო მოთხოვნილებანი, დანოსებისა და მონობის წაქეზება და სხვა მრავალი ამგვარები დღესაც დისციპლინასთან ერთათ შეკავშირებულია. აქ წერილის ავტორი სამართლიანათ შენიშნავს, რომ დისციპლინა არ უნდა იყოს სავალდებულო მარტო იმათთვის ვინც სწავლობს, არამედ იმათთვისაც ვინც ასწავლის. ეს კიდევ ცოტათ თუ ბევრათ შეიძლებოდა მაშინ, როცა ქვეშევრდომთაგან მოითხოვდენ „მსჯელობა არ იქონიოო„. ახლა კი, როცა ყველა ცოტათ თუ ბევრათ კრიტიკის თვალით უყურებს გარშემო ცხოვრებას, ასეთი უსტყვო მორჩილება ყოვლად შეუძლებელია.

დისციპლინას, ყოველის უწინარეს უნდა მოჰქონდეს სარგებლობა იმ საქმისათვის, რომელსაც ის ემსახურება, ეს ცხადია თავის თავათ, მაგრამ რა უნდა ვთქვათ ისეთი დისციპლინის შესახებ, რომელიც სარგებლობის ნაცვლათ მხოლოთ ვნებს საქმეს? აი მაგალითათ ამ წინაზე გაზეთებში ეწერა: პეტერბურგში ერთმა ნავთ-სადგურში მოსამსახურე დარაჯმა საზღვაო მინისტრს საჩივარი მისცა, რომელშიაც აღნუსხა მრავალი შენიშნული ბოროტ-მოქმედებანი თავისი უფროსებისა. საქციელი თავის თავათ სამართლიანი, კანონიერი და პატიოსნურია, მაგრამ დისციპლინა სულ სხვას ამბობს ამ შემთხვევაში. დარაჯი იმ წამსვე სამსახურიდან გამორიცხეს, რადგან მან დაარღვია დისციპლინა და საჩივარი თავისს პირდაპირ უფროსებს არ გადასცა ე. ი. იმ უფროსებს, რომლებმაც ეს ბოროტ-მოქმედება ჩაიდინეს და რომელნიც ამგვარათ დაინტერესებულნი არიან მათი საქციელი არ გამომჟღავნდეს. დარაჯი რომ დისციპლინის მიხედვით მოქცეულიყო, სამსახურიდანაც გამოირიცხებოდა და ბოროტ-მოქმედებაც არ გამომჟღავნდებოდა. აქედან ცხადათ ჩანს, რომ ამგვარი დისციპლინა საქმეს პირდაპირ ვნებს და ადმინისტრაცია მხოლოთ იმიტომ ებღაუჭება ასე მაგრა, რომ თავისი უმსგავსო საქციელი დამალოს. ისეთი თავ-განწირული დარაჯი როგორიც ზემო აღნიშნულია, იშვიათ მოვლენას შეადგენს და დიდი უმრავლესობა დისციპლინას უსიტყვოთ იკავს.

ამ წინაზე გავიგეთო, განაგრძობს ავტორი, რომ მოსკოვში ჯარისათვის დამბალი ძაფებით პერანგებს კერავდენ. საქმე იმაშია, რომ იმათ, ვინც დამბალ ძაფს არ იხმარდა სამუშაოს არ აძლევდენ. ეს ამბავი რასაკვირველია ბევრს მოხელეს ეცოდინებოდა, მაგრამ აბა გაებედათ და მიავროებისათვის ეცნობებიათ?! როგორც დისციპლინის დამრღვევი ისე სასტიკათ დაისჯებოდა.

როგორც ზევით ვთქვით, დისციპლინის დასამყარებლათ უპირველესი ზომა სისასტიკეა. აუცილებელი იყო მსხვერპლი ასეთი უზომო სისასტიკისა ძველათ და მრავალია ახლაც. აქ ავტორს მოყვანილი აქვს ადგილი კუპრინის მოხსრობიდან რომელშიაც ვკითხულობთ: ,,სწავლის დროს ყოველი მხრიდან, ყველა როტიდან ისმოდა ყბაში გარტყმული სილის განუწყვეტელი ტლაშუნი; ხშირათ დაუნახავს რომაშკოვს ასი, ორასი ნაბიჯიდან, გაცოფებული როტის უფროსი როგორ ურტყამდა სახეში თავისს ჯარის-კაცებს განურჩევლათ, უკლებლივ: ჯერ უხმო ხელის გაქნევა, შემდეგ მწვავე ლაწანი და ასე ერთი მეორეზე განუწყვეტლივ. ეს ერთ გვარათ საშიშარი და სახიზღარი სანახავი იყო.. უნტერ ოფიცრების სისასტიკე კიდევ უფრო გასაოცარი და ყოველივე ზომიერებას გადაჭარბებული იყო. უბრალო, უმნიშვნელო შეცდომისათვის იმდენს სცემდენ, სანამ სისხლით არ შეიღებებოდა, კბილებს აჭყრევდენ, ყურის ბარაბანს უხეთქდენ...''

უნდა იცოდეთ, რომ ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ზოგიერთი სამხედრო პირი დისციპლინის დასამყარებლათ უფრო კაცთ-მოყვარე და გონიერ ზომებს ხმარობდა. და სწორეთ ამიტომ არის ისე სამწუხარო, როდესაც მეოცე საუკუნის დასაწყისში ხედავ იმგვარ სცენებს, რომლებითაც სავსეა დღევანდელი ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლები.

აი მაგალითათ, როგორი სამწუხარო ამბავი მოხდა კურსკში. სათადარიგო ჯარის-კაცებს მატარებელში სხდმენ. ერ-

თი მათგანი, მთვრალი, ცოტა გაჯიუტდა. ჩაჯდომა და ომის ველზე წასვლა არ უნდოდა; თუმცა სხვებმაც ფეხი მოიკიდეს და ნებით არ ჩავიდენ, მაგრამ ეს ერთი ძალზე გაჯიუტდა და ხელებ შეკრულმა აფიცერს შეურაცხყოფა მიაყენა. გულმოსულმა უფროსმა ხმლით აკუწა მთვრალი ჯარის-კაცი; ამით მას დისციპლინის დაცვა უნდოდა ჯარში. მაგრამ ამ საზიზღარმა საქციელმა იმდენათ აღელვა სადგურზე მყოფი საზოგადოება, რომ იმისი ნაკუწ-ნაკუწ დაგლეჯა გადასწყვიტა. აფიცერმა კუდი ამოიძუა და ვაგონში შევარდა, მარა ხალხის რისხვას კაცი ვაგონში დაეძალება? იმავ წამში ვაგონს ცეცხლი მოუკიდეს და უკუნური მხედართ-მთავარი შიგ დაიწვა.

ვინ იყო დანაშაული ამ ორში? ის სალდათი, რომელიც ცმწეოთ დატოვებული ოჯახის დარდით დაითრო, თუ ის გამხეცებული აფიცერი, რომელმაც ვერ შეიმაგრა თავისი თავი და უდანაშაულო კაცი, მინიჭებულ უფლების მიხედვით, ნაკუწ-ნაკუწ აკაფა?

ერთი სიტყვით საჭიროა კიდევ გავიმეოროთ, რომ დისციპლინა არა მარტო მოსწავლეთათვის არის საჭირო, არამედ მასწავლებელთათვისაც. ამასთანავე საჭიროა დისციპლინა იმ საქმეს ემსახურებოდეს რომლისთვისაც შემოღებულია და არ ეწინააღმდეგებოდეს ისე, როგორც აღნიშნულმა მაგალითებმა დაგვანახვეს.

იაპონელთა შესახებ ამბობენ მაგალითათ, რომ სალდათი და ოფიცერი თავისუფალ დროს მეგობრები არიან და ძნელათ გაარჩევთ, რომელი მათგანი უფროსია. მაგალითათ, სალდათი მიდის უფროსთან და ცეცხლსა სთხოვს პაპიროზისათვის, რასაც აფიცერი ზრდილობიანათ აკმაყოფილებს. მაგრამ როცა იგივე აფიცერი ბრძანებას აძლევს იმავ ჯარის კაცს, ის დაუყონებლივ და სიტყვის შეუბრუნებლათ ასრულებს ბრძანებას. იქ ოფიცრები ვალდებულნი არიან ყველა თავის სალდათს იცნობდენ; ვალდებულნი არიან ომის დროს მათთან ერთათ ისადილონ; სამსახურის დროს აფიცერს არა აქვს უფლება სალდათის შრომით ისარგებლოს, რადგანაც ყველა ჯარის კაცი ვალდებულია თოფი ჰქონდეს და საჭიროების დროს გამოცხადდეს.

ერთი სიტყვით ვოდება მრავალთა დისციპლინის დაკარგვის შესახებ უსაფუძლოა. პირ-იქით, დისციპლინა ჩვენში ჯერ კიდევ გადაჭარბებულია. ის ახშობს ყოველგვარ ადამიანურ გრძნობას სკოლასა, ფაბრიკასა და ჯარშიაც. ის აჩვევს საზოგადოებას გულ-გრილათ უყუროს ათას გვარ საზიზღროებას, გულში ჩაიკლას მრავალი უსამართლობა და ზნეობრივათ დაუძლურდეს. პირ იქით საჭიროა დისციპლინის შემსუბუქება და უმთავრეს ათის მოხერხება, რომ დისციპლინა საქმეს ემსახურებოდეს.

ფელეტონის მაგიერი.

ოცი ჯიშის ფილოქსერა.

საშიშარი მწერია ფილოქსერა! ის ვაზს უწნდება ძირებზე ე. ი. იმ ორგანოზე, რომლითაც უმთავრეს ნაწილათ მცენარე საზრდოს სწოვს მიწიდან. ვაზის ფესვებზე დაბუდებული ფილოქსერა თავისი პატარა ხორთუმით თითონ იზიდავს მცენარის საზრდოს, ზევით, ფოთლებისაკენ აღარ უშვებს და მცენარე ხმება. ძლიერ ღონიერი ძირი უნდა ჰქონდეს ვაზს, რომ ფილოქსერას სტუმრობა აიტანოს. ამისთვის მოგონილია ჩვენებური ძირ სუსტი ვაზების ამერიკულ ღონიერ ვაზებზე მყნობა. ნამყენი ვენახები დასავლეთ საქართველოში ძლიერ ხშირია, რადგანაც ფილოქსერამ იქ ერთობ მოიკიდა ფეხი. ასე რომ ამ მტერთან ბრძოლა თითქმის გამარჯვებით გათავდა. ვინ გაიმარჯვა? თუ იკითხავთ, მოგახსენებთ — საქმერის სანერგემ გაიმარჯვა მეთქი და მართალიც იქნებით.

ახლა დრო გამოიცვალა, ფილოქსერა კაცებს გაუჩნდა! უნდა იცოდეთ, რომ ფილოქსერა უმთავრესათ კეთილ-შობილ ვაზებს უჩნდება, ვინაიდან იმათი წვენი უკეთესი ღირსებისა არის. აქაც ადამიანთა ფილოქსერა კეთილშობილთა წოდებას დააჯდა და საზრდოს აღარ აძლევს. ახირებულია ღმერთმანი! საშველი აღარ მისცა, ღამის გაახმოს დიდებული ჯიში! მკვებავი წვენის ნაკლებობა ნათლათ დაეტყო იმათ ნორჩ სახეს და შეეჭნათ დიდი წუხილი. სენი დღითი დღე ძლიერდებოდა და კიდევაც ძლიერდება, საფრთხე აუცილებელია. უნდა გახმეს მთელი ჯიში კაცებისა.

შეფიქრიანდა ჰირუსუფალი და ეჭიმის ძებნას შეუდგა. ფიცხლავ დაარსეს კაცთა ფილოქსერასთან მებრძოლი პარტია. ამ საქმის მცოდნე და ვაზის ფილოქსერასთან ბრძოლაში გამოწვრთნილი არა ერთი და ორი მოიპოვება ჩვენს ქვეყანაში. მართალია ვაზისა და ადამიანის ფილოქსერა სხვა და სხვა ჯიშს ეკუთვნიან, მაგრამ ცხადია ერთთან ბრძოლაში დახელოვნებულნი, მეორეს უფრო მოხერხებულათ შეებრძოლებიან. სწორეთ ამიტომ არის, რომ გამოცდილი კაცებს აყენებენ ხოლმე ბრძოლის სათავეში. ვნახოთ რომელი ჯიშის ფილოქსერა უფრო ძნელი ამოსაფხვრელია.

—

პირველი შეტაკება.

მოლოდინი გამართლდა! ორი რაზმი! „შავიდა“ და „წითელი“ ერთმანეთს შეხვდა. შეტაკება სასტიკი იყო. აბდული დამარცხდა. ის შერხეენილი უკუ იქცა და სადღაც გომურში დაიმალა. ბრძოლის ველი, 8 ბერდანკა 4 რევოლვერი და ერთი აინალი „წითელ“ რაზმს ჩაუვარდა ხელში. შეტაკება კიდევ მოსალოდნელია.

—

უკურ-მარილნი!!!

მე ჩამტუქსა: „ცოც ეშმაკო, რა დროს ოხუნჯობა არისო“ და მწარე კრაკადილის ცრემლები გადმოყარა. შევხედე და კიდევ გამეცინა! რა ვქნა ასეთია ჩემი ბუნება! სასაცილოს დავინახავ-გამეცინება, საოხუნჯოს დავინახავ—ვიოხუნჯებ. ზოგიერთ კაცს და მათ შორის ბატონ „სიტყვასაც“ ერთი ახირებული ჩვეულება სჭირს: სახელდობრ, როდესაც ჯაჭვზე წყალს დაასხამს და გრძელი ფილთაქვით ნაყვას შეუდგება, აი ამ საოხუნჯო მოქმედების დროს, ისეთი „სურიოზნი“ და ნაღვლიანი სახე აქვს, თითქო ეს კაცი დედამიწას ქოჩორში ჩაფრენია და თავის ნებაზე ათამაშებსო. მოდი ახლა და ასეთი სურათის მნახველს ნუ გაგეცინება!! ეს ფიზიკურათ შეუძლებელია.

ან არა და ხედავს ზოგიერთი ჩვენი ნაციონალისტი, რომ არც ქალაქისა და არც სოფლის მუშა მის პოლიტიკურ საკენკს განუსჯელათ არ ეტანება, რომ მათ მიბრძანებას პურ-მარილით არ ეგებება, ხედავს და როგორც წამებული სიმართლისათვის, კვლავ კრაკადილის ცრემლებს აფრქვევს და ღაღადებს: „მამაო ზეციერო! შეუნდე ამათ რამეთუ არა უწყიან რასა იქმოდენ“. დაინახავ ამას, ამ საარაკო ოხუნჯობას და გიძლია სიცილი შეიმაგრო?

„სიტყვას“ კი ჰგონია, რომ ის თავისი ნაღვლიანი სიტყვა-მოქმედებით, თავისი ცრემლებით და წერტილებით ქართველ ეროვნულ მოწამის როლს ასრულებს და სწორეთ აი

ეს ფაქტი, რომ მას ასე ჰგონია უმაღლესი ხელისუფლობაა საზოგადოების წინაშე და მეც ეს მეცინება ხოლმე. რა ვქნა, თუ ასე არ არის „მშრომელმა ხალხმა გაგვსაჯოს“.

ეშმაკი.

„ცვლილება“ პოლიტიკური საქმეების წარმოებაში.

როგორც მოგეხსენებათ, სულ ერთ წელზე ცოტა მეტია, რაც პოლიტიკურ დამნაშავეთა საქმეები გადაეცა გასარჩევად სასამართლოს (სამოსამართლო პალატას). ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ამ ცვლილებას არსებითათ არ შეუცვლია საქმის მდგომარეობა, რადგან პოლიციის ანუ ადმინისტრაციის უფლება ხელუხლებლათ დარჩა ამ საქმეებში და სასამართლო სასჯელი ზედმეტი დამატება შეიქნა. თუ რითიმე შეიცვალა მდგომარეობა ისევ ამ „დამნაშავეთა“ მდგომარეობის გასაუარესებლათ. ეს იყო 1904 წლის 7 ივნისის კანონის შემდეგ. მას შემდეგ გავიდა ერთი წელი და 1905 წ. 16 ივნისს კვლავ გამოიცა კანონი, რომლითაც ვითომ უნდა გაეუმჯობესოს „დამნაშავეთა“ ხვედრი, მაგრამ ნამდვილ თითქმის არავითარი ცვლილება არ შემოუტანია. ყველაზე უფრო თვალსაჩინო ცვლილება ჩვენთვის ამ ახალ კანონში ის არის, რომ პალატაში ამ რიგის საქმეების გარჩევაში მონაწილეობას იღებენ წოდებათა წარმომადგენლები; პალატის წევრებთან ერთათ სხედან და განაჩენის დადგენაში მონაწილეობას იღებენ გუბერნიის და მაზრის წინამძღოლები, ქალაქის მოურავი და ერთიც მამასახლისი, ე. ი. წარმოდგენილია თავად-აზნაურობა ორი ხმით, ქალაქის ბურჟუაზია—ერთი ხმით და „გლეხობა“—ერთი ხმით. ამ წოდებათა წარმომადგენლებს გვერდით უზის ხუთი წევრი პალატისა (თავმჯდომარიანათ), ასე რომ მოხელე მოსამართლეთა უმრავლესობა მაინც უზრუნველია. შეუძლია კი რისამე ახალის შეტანა ამ წესს საქმის მიმდინარეობაში? არაფერი, რასაკვირველია, რადგან თვით იმ ტიპის სასამართლო, რომელიც ჩვენში შემოიღეს ახლა (რუსეთში კი თავიდან ასე იყო) დიდი ხანია უარყოფილია სამართლის მეცნიერებაში. ადვილი გასაგებიცაა თუ რატომ. როგორც დაინახეთ, აქ მოხელე-მოსამართლე და „წოდების წარმომადგენელნი“ ერთ კრებულს შეადგენენ, ესე იგი, უბრალო „მოქალაქეთ“, არა იურისტებს უსხედან გვერდით იურისტები, ხელობით მოსამართლეებში არეულია წოდებათა წარმომადგენელნი, რომელთაგან ბევრი პირველათ არის ასეთ როლში და ადვილი წარმოსადგენია, რამდენათ დამორჩილებული ეყოლებათ უკანასკნელნი—მართლაც ვის არ გამოუცდია, რა უხერხულათ გრძნობს უბრალო ადამიანი თავის თავს, როცა მას რამე საგანზე სპეციალისტთან უხდება კამათი. როგორათაც არ უნდა იყო დარწმუნებული შენი აზრის სიმართლეში, მაინც თუ არ შიშობ, ფრთხილობ მაინც მის გამოთქმას. ასეთია ნორმა, ხოლო გამონაკლი ყველგან იშვიათია და მით უმეტეს იმ პირებში, რომელნიც აქ არიან ჩარეული საქმეში. რამდენი აზნაური წინამძღოლი, ბურჟუა მოურავი და სოფლის მამასახლისი გამოჩნდება ისეთი რომ გაბედოს და შეეკამათოს თავმჯდომარეს იურიდიულ კითხვებში? რამდენათ უნდა იყოს გატაცებული იგი სიმართლის დაცვის სურვილით? მერე რამდენი შეიძლება გამოდგეს ასეთი? ათასში ერთიც საეჭვოა. მარა წარმოვიდგინოთ, რომ ასეთებიც გამოერია. მაშინაც ვერ იქონიებენ საჭირო გავლენას, რადგან უმრავლესობა მაინც მოხელე-მოსამართლეებია. თითონ ეს წოდების წარმომადგენელებიც ხომ მოხელეებია თავის მდგომარეობით, რისთვისაც საკმაო ზომები აქვს მიღებული ბიუროკრატიას*). მაშ სად არის ის საზოგადოებრივი ელემენტი, რომლის შეყვანაც უნდათ ამ გზით სასამართლოში და მით შეუერთონ ხალხის ცხოვრებასთან დაახლოვება? აშკარაა, რომ ამ მიზნის განსახორციელებლათ სასამართლოს ასეთი ფორმა უვარგისი და შეუფერებელია. საზოგადოების ანუ ხალხის სამართალში მონაწილეობა მხოლოთ იმ სახით შეიძლება, რომელიც საზოგადოთ მიღებულია ყველა განათლებულ ქვეყნებში და რომელსაც ეწოდება **ნაფიც მსაჯულთა სასამართლო**. მხოლოთ ამ ფორმის სასამართლოს შეუძლია, რამდენათაც ეს მოსახერხებელია არსებულ კანონის ფარგალში, უზრუნველ ყოს „დამნაშავეთა“ თუ ბრალდებულთა მდგომარეობა და გადაარჩინოს ბევრი მათგანი უდანაშაულოდ დასჯის გადაწყვეტისაგან. ასეა საზოგადოთ სისხლის სამართლის საქმეებში და კიდევ მეტათ ეგრეთ წოდებულ პოლიტიკურ დანაშაულთა შესახებ. პოლიტიკური დანაშაული, როგორც ვიცით, საზოგადოთ არის ერთი რომელიმე კერძო აქტი ანუ მოქმედება არსებული წესწყობილების წინააღმდეგ. ყოველივე არსებული რასაკვირველია პირველ ყოვლისა თავის დაცვას, თავის ბატონობის შერჩენას ფიქრობს, ხოლო ყოველი დაწესებულება ამ არსებულის აგენტი და იარაღია. ამ რიგათ გამოდის რომ პოლიტიკურ დამნაშავეს, ე. ი. მომავალის გასაუმჯობესებლათ არსებულთან მებრძოლს ასამართლებს და სჯის მისი მოპირდაპირე, მოსისხლე მტერი. ასეთ პირობებში სამართალზე ლაპარაკი საეჭვო ხდება და უფრო მოსალოდნელია რომ გასამართლება შურის ძიებათ გადაიქცევა. ამიტომ მივიდა ხალხის გონება ნაფიც მსაჯულთა სამართლის ფორმამდინ, რომელიც სრულდება ყველა მოქალაქეთა მონაწილეობით, რასაკვირველია რიგ-რიგობით და წილის ყრით; მხოლოთ ამას შეუძლია შეიტანოს საუცილებლათ საჭირო კონტროლი და კორექტივი (შესწორება) სამართლის საქმის ასრულებაში, რადგან იგი არის თვით ცხოვრება, რამდენათაც მასში მონაწილეა მთელი ხალხი და არა არის გამორიცხული უმრავლესობა, როგორც ეს დღეს რუსეთის სასამართლოშია. მხოლოთ სასამართლოს ამ ფორმას შეუძლია მიანდოს თავისი ბედი ყოველმა დამნაშავემ და მათ შორის, რასაკვირველია, პირველია პოლიტიკური, და საზოგადოებასაც მხოლოთ ასეთ სასამართლოს შეუძლია გამოუცხადოს ნდობა.

ამიტომაც არის რომ ყველგან ასეთი სასამართლოს ტიპი იმარჯვებს და საცა არ არის ყველა მოწინავე პარტიებს შეაქვთ იგი თავის მოთხოვნილებათა შორის. სანამ ეს წესი არ იქნება მიღებული, მანამდინ მეტია საზოგადოების სამართალში მონაწილეობაზე ლაპარაკი. აქედან აშკარაა, რომ ახალი წესი არაფრათ არ ცვლის „დამნაშავეთა“ მდგომარეობას.

ერთათ ერთი შელავათი, რომელიც მოყვა ,,დამნაშავეთათვის'' 16 ივნისის კანონს არის დამცველთა წრის გაფართოება. დღემდინ მხოლოთ ნაფიც ვექილებს ქონდათ უფლება მათი დაცვისა, ახლა კი ნაფიც ვექილთა თანაშემწეებს და კერძო ვექილებსაც შეუძლიანთ ამ მოვალეობის შესრულება. დამცველთა ფარგლის შემოზღუდვის დროს კანონმდებელს აზრათ ქონდა ,,ამ საქმეების განსაკუთრებული მნიშვნელობა“ და ის მოსაზრება, რომ ასეთ პირთა დაცვა ,,მხოლოთ იმათ უნდა მიენდოს, რომელთაც შეუძლიათ დინჯათ და დაკვირვებულათ მოეპყრან თავიანთ საქმეს''. აშკარაა,

*) ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ ყველა ეს „წარმომადგენელნი“ ქონებრივათ გაბატონებულ კლასებს ეკუთვნიან, „დამნაშავენი“ კი საზოგადოების გაღატაკებულ უმრავლესობისაგან არიან ან უკანასკნელთა ინტერესების დამცველები არიან.

კანონმდებელს ნდომებია უფრო ახალგაზდა ვექილების გამორიცხვა, რადგან მათ უფრო გულახდილათ შეუძლიათ არსებულ პირობებზე მსჯელობა, ეს კი კრიტიკაა, რასაც ყოველთვის უფრთხის მოძველებული წყობილება. ერთი მხრით გაუგებარია, საიდან მოუვიდათ ეს აზრი, რა შიში მოელოდათ ამ კრიტიკისაგან, როცა ყველა პოლიტიკური საქმეები ,,ჩაკეტილ კარებში'' ირჩევა. ნუ თუ, პალატაზე შეეძლო ეკონიებია რაიმე გავლენა ახალგაზდა დამცველს?! მეორე მხრით აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ხერხმაც ვერ გასჭრა და თვით ,,დინჯ'' ნაფიც ვექილებშიც გამოჩნდა საკმაო რიცხვი პოლიტიკურ დამცველებისა, (უფრო ახალგაზდებში). მართალია,პირველათ უფრთხოდენ ასეთ საქმეებს, მაგრამ შემდეგ თახ-და-თან შეიქნა საპატიო პოლიტიკური დამცველის როლი და საცა ადვოკატურა მრავალ-რიცხოვანია დამცველების გადარჩევა და გაცხრილვა უფრო საჭირო შეიქნა, ვიდრე მათი ძებნა. მხოლოთ იქ საცა ნაფიცი ვექილების რიცხვი მცირე იყო შეიძლებოდა საგრძნობელი გამხდარიყო ეს შემავიწროებელი კანონი. საზოგადოთ კი ამ ცვლილებას უფრო პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს დღეს ვიდრე რაიმე პრაქტიკული, ნამეტურ თვით ,,დამნაშავეთათვის'', გარდა იმისა, რომ მათ შეუძლიათ ახალგაზდებიდანაც აირჩიონ დამცველი.

საზოგადოთ, როგორც ვთქვით, ახალ კანონს არავითარი შესამჩნევი შედავათი არ შეუტანია ამ ბრალდებულთა მდგომარეობაში. რჩება ისევ ჟანდარმების გამოძიება, ადმინისტრაციის სრული ბატონობა, ამ საქმეების საზოგადოების კონტროლიდან დაშორება და ყველა ის ნაკლი, რომელიც წინეთ გვქონდა აღნიშნული ჩვენ გაზეთში. ყოველივე ამის აცილება შეუძლია მხოლოთ ცხოვრების განთავისუფლებას, მხოლოთ მაშინაა მოსალოდნელი სასურველი ფორმის სასამართლოს დაწესებაც, ასე რომ „ყველა გზებს რომისაკენ მივყავართ“ და იქით უნდა ვისწრაფოდეთ ყველანი...

ს ხ ვ ა თ ა შ ო რ ი ს.

ქუთაისის ინტელიგენტებში კარგათ ცნობილ არჩილ ფერაძეს აჩემებული ქონდა ერთი ახირებული აზრი, რომელსაც გამუდმებით იმეორებდა. ის ამბობდა და ამტკიცებდა კიდეც თავისებურათ, რომ რუსეთში **მხოლოთ სამი მარქსისტია**: პირველი—**ნ. კ. მიხაილოვსკი**, მეორე (მგონი) პროფ. **კარეევი** და მესამე... **ვასილ წერეთელი.** აი, ეს მეტის-მეტი ერუდიციით გამოწვეული „ლოღიკური ოთურმა“ მომაგონდება ხოლმე ყოველთვის, როცა ვასილ წერეთლის წერილებს ვკითხულობ. სწორეთ რომ ნამდვილი „ოთურმაა“ ამ „მესამე მარქსისტის“ თავში გაბატონებული და მხოლოთ ამით შეიძლება აიხსნას მისი „მარქსისტული“ წერილი, რომელიც «ცნობის ფურცლის“ №№ 2874 და 77-შია მოთავსებული. „მესამე მარქსისტს“ ისე არაფერი წერილის დაწერა არ შეუძლია, რომ მესამე დასელებით არ დაიწყოს ან არ გაათავოს, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანებში.

ახლაც, იწყებს რა ეს «ოთურმისტი»-„მარქსისტი“ თავის წილადობილას სამეურნეო ამხანაგობათა შესახებ, რომელსაც „საადგილ-მამულო საკითხი და თვითმართველობა“ ეწოდება, მოიხსენიებს ჩვენ მესამე დასელებს, რომელნიც «მხოლოთ წააგვანან ევროპის სოციალ-დემოკრატებს“, გვისაყვედურებს ავტონომიის მოწინააღმდეგობას, არ ვიცით კი რა კავშირი აქვს ამას საგანთან, და ისევ უბრუნდება თავის ამხანაგობებს. მას სურს მთელი საქართველო (ავტონომიური, უეჭველია!) მოფინოს სამეურნეო ამხანაგობებით, რომელიც მიაჩნია ერთათ ერთ მხსნელ საშვალებათ გლეხებისათვის ამ ახირებულ ეკონომისტს.

„მაშ, რა გვიხსნისო?“ კითხულობს ბ. წერეთელი, აგვიწერს რა გლეხების გაჭირვებას და იმის მიზეზებს. და თითონვე იძლევა პასუხს.

„ამხანაგობა, მხოლოთ ამხანაგობა. გლეხნო და აზნაურნო! სანამ ჯერ კიდევ მთლათ არ გამოუცლიათ ხელიდან თქვენთვის მიწა წყალი. სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის, შეერთდით. გაარღვიეთ ღობეები, შეაერთეთ თქვენი პატარ-პატარა ნაკერი მიწები, გარდაქმენით წვრილი წარმოება მსხვილ წარმოებათ, ამხანაგობა ვერ ივარგებს, თუ ორმოცდა-ათი მოსახლე მაინც არ შეერთდა, რადგან მცირე რიცხვი ამხანაგებისა ვერ შექმნის საჭირო ძალას, ვერ გააუმჯობესებს წარმოებას. მკვიდრ ნიადაგს კი **ამხანაგობა მაშინ მოიპოვებს,** როდესაც შეერთებულ მოსახლეების რიცხვი **ათასამდის ავა**. შემდეგ სხვა და სხვა ამხანაგობანი შეუერთდებიან ერთმანერთს. მაშასადამე, ჯერ პატარა ამხანაგობა თან და თან გაიზდება და დიდათ შეიქმნება, ბოლოს კი ამხანაგობათა კავშირი დაარსდება“.

«რით არის ამხანაგობა კარგი?» განაგრძობს ჩვენი სოკრატი თავის კითხვებს. იმით, რომ «ამხანაგობას ექნება (ბევრი, ბევრი რამ ექნება!) საშუალება შეიძინოს გაუმჯობესებული. იარაღი ხელ-საქმისათვის; ექმნება საშუალება მოაწყოს რიგიანად სარდაფი, ბოსელი და სხვა. ამხანაგობა ადვილად იშოვის თავის წევრებად განათლებულ მეურნეს, აგრონომს, რომლის შემწეობითაც ადვილად გააუმჯობესებს მიწის გასუქება-განაყოფიერების, ღვინის დაყენებისა და შენახვის საქმეს, ყველის წარმოებას და სიამოვნებით დასთანხმდებიან ამხანაგობის წევრობას აგრეთვე კაცისა და პირუტყვის განათლებული ექიმები, რადგან ახლა არც ერთი განათლებული კაცი არ არის უზრუნველ-ყოფილი უბედურ შემთხვევისა, სნეულობისა და სიბერისაგან, ამხანაგობა კი უზრუნველ-ჰყოფს ყოველგვარ უბედურებისა და გაჭირვებისაგან თვითეულ თავის წევრს, მის შვილსა და მომავალს. კერძო მოსახლეს კი, უსახსრობის გამო, არა აქვს საშუალება მიმართოს ექიმს გაჭირვების დროს. ამავე მიზეზის გამო ამხანაგობას ეყოლება წევრებად ზეინკალი, მჭედელი, თერძი, მეჩექმე, მჭსოველი, ხუროთ, დურგალი, კალატოზი, ნასწავლი ტეხნიკოსი და სხვა და სხვა. ერთის სიტყვით, თითქმის ყველაფერი, რაც საჭიროა კაცისათვის, ამხანაგობას უსასყიდლოთ ექმნება, ამას გარდა ექმნება კიდევ, მრავალგვარი გასასყიდი საქონელიც“. (sic!).

კითხულობ ყოველივე ამას და ვერ გაგიგია «კაცისა თუ პირუტყვის... განათლებულ ექიმის» ნაწერია! ასე გეგონება ეს რომელიმე ევროპიელი მარქსისტების მზგავსი რუს-მარქსისტების მიერ ნეტარ ხსენებულ მეარტელე ლევიცკიზე დაწერილი კარიკატურაა. მაგრამ შეცდებით, ეს სერიოზული მსჯელობაა «მესამე მარქსისტისა», რომელსაც რუსულათ ხიმერა დაერქმევა, ხოლო ჩვენებურათ „ლოღიკური ოთურმა“.

მაგრამ რაღა სოკრატი იქნება ჩვენი ისტორიოსოფი, რომ თავის პროგნოზში უფრო შორს არ წავიდეს. ეს ამხანაგობები მას უნდა „ავტონომიურ საქართველოში“ „გამდიდრებით სოციალიზმის“ (რა მშვენიერი სიტყვა მოიგონეს ფედალისტებმა!) დასამყარებლათ, ხოლო ასეთ სერიოზულ საქმის დამწყებმა რასაკვირველია ყოველ გვარი მდგომარეობა უნდა წარმოიდგინოს. და აი ბ. ვასილიც ითვალისწინებს მომავალს. მოსალოდნელია ერთი ამხანაგობის მეტი სიჭარბით გამრავლება, ვიდრე მეორესი. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ამხანაგობები ქონებრივათ უთანასწორონი შეიქნენ. ეს გარემოება ცოტა არ იყოს აფიქრებს ბ. წერეთელს, მაგრამ

სულ ცოტა ხნით და ხსნასაც ადვილათ პოულობს. ჯერ ერთი რომ ,,გამრავლების ნიჭი'' ყველა ამხანაგებს ერთნაირი ექნებაო, ამბობს ბ. ვასილი. მაგრამ, კიდეც რომ მოხდეს ასეთი უთანასწორობა, ეს არაფერ დაბრკოლებას არ წარმოადგენს, პირ იქით ბევრი ხალხის მყოლი და ნაკლები მიწის მქონებელი ამხანაგობა უკეთ განავითარებს ტეხნიკას და მით უფრო მეტ შემოსავალს გამოადებინებს მიწას, ვიდრე ბევრი მიწის მქონებელი (იხ. ,,ც. ფ.'' № 2877 გვ. 3 სვეტი 4). თუ კი ასეა შე დალოცვილო რაღას უჩივი ამ მიწის უქონლობას (იხ. № 2874 გვ. 2 სვ. 4)? ის არა სჯობდა პირდაპირ უმაწყლოთა ამხანაგობის დაარსებას შედგომოდი? მაშინ ხომ თქვენი ფელეტონების დასრულებამდინ ტეხნიკაც აყვავდებოდა და ავტონომიური ამხანაგობანიც?. აი, ამ ავტონომიური პრინციპის დაცვა უნდა ჩვენ მეოთურმეს და იმიტომ უფრთხის მიწის ხელ-ახალ განაწილებას ,,კავშირის ამხანაგობათა'' შორის. მართლაც და ეს ხომ ავტონომიის წინააღმდეგი იქნება. ამიტომ დასჭირდა ,,კაცის განათლებულ ექიმს'' ჰკუის ასეთი ძალის დატანება.

ნათქვამიც საკმარია ბ. ვასილ წერეთლის დასახასიათებლათ, მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ ამ ფილოსოფიის გენეზისი, მისი წარმოშობა. მართლაც რომელი მკითხველი არ იკითხავს საიდან მოუვიდა ასეთი პრობლემა თავში კაცის ექიმსო. ჩვენი აზრით პასუხი მხოლოთ ერთია. ეს თეორია არის ნაყოფი დიდი ერუდიციისა, აქ არის ,,პირველია მარქსისტის'' მიხაილოვსკის ,,самодовлѣющая община", ლევიცკის „არტელები" და ფერდერალისტების ავტონომია; ხოლო როცა ყველა ამათ თავი ერთ თავისუფალ თავში მოიყარეს, გამართეს ოთურმობია და აი ამის ნაყოფი გახლავთ ეს დიდებული თეორია, რომელიც ამხანაგობებით, კავშირებით და კავშირთა კავშირებით მოფენს მსოფლიოს, მათი შემწეობით იმ ზომამდე გაამდიდრებს გლეხობას და დააფუძნებს ისეთ მეურნეობათა, რომელთაც ყველაფერი ბევრი ექნებათ, ყველა მოთხოვნილებას თავისი ნაწარმოებით დაიკმაყოფილებენ და ბევრსაც გაყიდიან... ვაი მიყიდის კი არ ვიცით, ოდგან ყველგან ასეთი ამხანაგობები იქნება! მაგრამ, შეიძლება, ვასილის ამ რეცეპტით მარტო ავტონომიურმა საქართველომ ისარგებლოს, რადგან იგი ავტონომიური იქნება, ბ. ვასილს პრივილეგიას მიცემს, სამშობლოს ჩინურის კედლებით შემოზღუდავს, თითონ არაფერს იყიდის, სხვებს კი ბევრს მიყიდის, ამ გზით მთელი ქვეყნის ფულს თავს მოუყრის და მით ე. ი. ასეთი ,,გამდიდრებით სოციალიზმს დაიმყარებს''... ალბათ ასე იქნება! მაშ გაუმარჯოს ,,მესამე მარქისტს'' და მის ლოღიკურ ოთურმას!...

ბარბაროსი გლეხი.

პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა

ფრ. ენგელსის.

(თარგმანი)

პოლიტიკური ეკონომია ბუნებრივი შედეგია ვაჭრობის განვითარებისა, და ამ მეცნიერების აღორძინებისათანავე ტლანქი და უვიცი ვაჭრობა შეიცვალა ნებადართულ მოტყუილების სისტემით, გაჩნდა მეცნიერება გამდიდრების საშუალებათა და გზის მაჩვენებელი.

ამ დროის პოლიტიკურ ეკონომიას ანუ გამდიდრების საშუალებათა მეცნიერებას, რომელიც აღორძინდა ვაჭართა მეტოქეობისა და მათ მტაცებლურ მიდრეკილებათა ნიადაგზე, ყოველად საზიზღარი ეგოისტური ხასიათი ჰქონდა. იმ დროს გულუბრყვილოთ რწამდათ, რომ სიმდიდრეს ოქრო და ვერცხლი წარმოადგენდა და ყველა ქვეყნები ცდილობდენ ხელი შეეშალათ და აეკრძალათ კეთილშობილ ლითონის გატანა სახელმწიფოდან, ეს მიაჩნდათ თავიანთ წინდა-მხედველობათ.

მაშინდელი ერები იმ ძუნწს მოგაბონებდათ, რომელსაც გულში ჩაუკრავს მაგრათ ფულის ტომარა და შურითა და მტრული თვალით უყურებს ყველა მეზობელს. მთელი ცდა ინაზე იყო მიმართული, რომ როგორმე მეტი ნაღდი ფული გამოერთმიათ იმ ხალხისთვის, რომელთანაც ვაჭრობა ქონდათ გამართული და ამ ნაირათ შეძენილი ფული მოეგროვებიათ შინ.

მაგრამ ცხოვრებაში ამ პრინციპის მტკიცეთ გატარება სახიფათო იყო, შეიძლებოდა ვაჭრობა მოესპო; გაიარეს ეს საფეხურიც, შეიგნეს რომ კასაში თავმოყრილი ფული მკვდარი კაპიტალი იყო, ხოლო წარმოებაში დატრიალებული კი მუდამ იზრდებოდა.

ამ მოსაზრებით ვაჭრებმა დიდი კაცთმოყვარეობა გამოიჩინეს და თავისი დუკატები (ინგლისური ფულია) დაგზავნეს და დაარიგეს სხვა-და-სხვა ქვეყნებში, რასაკვირველია იმ მიზნით რომ მათ სხვა მეტი დუკატებიც მოეტანათ სახლში. იმავე დროს მიხვდენ, არაფერს ვიხარალებთ იმითი, რომ ვაჭარს ივანეს მის საქონელში მეტი ფასი მივცეთ, თუ იმავე საქონელს კიდევ უფრო ძვირათ პეტრე-ვაჭარს მივყიდოთო, და სწორეთ ეს მოსაზრებები დაედო საფუძვლათ მერკანტილურ სისტემას. ვაჭრობა ყოველ ღონეს ხმარობდა დაემალა თავისი მტაცებლური ხასიათი. სხვადა-სხვა ხალხნი თან-და-თან დაუახლოვდენ ერთმანეთს. ისინი სდებდენ ერთმანეთში სავაჭრო და სამეგობრო ხელშეკრულობებს, იკვროდენ სხვადა-სხვა პირობით და ხელსაც უწყობდენ ერთმანეთს რამდენათაც კი შეიძლება მეტი მოგების მოპოებაში. მაგრამ არსებითათ ვაჭრობას ისევ მტაცებლური ხასიათი ქონდა და ეგოიზმის განხორციელება იყო. ეს მისი თვისებები დროგამოშვებით გამომჟღავნდებოდა ხოლმე იმ ომებში, რომელთაც იწვევდა ვაჭრული მეტოქეობა. ეს ომები ამტკიცებდენ, რომ ვაჭრობაც ისეთსავე ბუშტის უფლებაზე არის დამყარებული, როგორც ძარცვა-გლეჯა. არავინ არ ირცხვოდა ძალით ან მოტყუილებით ისეთი პირობა დაედებინა მეორესათვის, თუ კი მოახერხებდა, რომ მას როგორც უძლიერესს მიეღო რაც შეიძლება მეტი მოგება.

მერკანტილური სისტემის უმთავრესი ანუ დედა-პუნქტი იყო სავაჭრო ბალანსის თეორია. რადგანაც იმ დროს კიდევ რწამდათ, რომ სიმდიდრეს ოქრო და ვერცხლი შეადგენდა, ამიტომ მოსაგებათ (სასარგებლოთ) მხოლოთ ისეთ ხელშეკრულობას თვლიდენ, რომელსაც ბოლოს და ბოლოს შემოქონდა მხარეში ნაღდი ფული. ხელშეკრულობას ზომავდენ შემოტანილი და გატანილი საქონელის რაოდენობის შედარებით. თუ გატანილის რაოდენობა (ფასით რასაკვირველია) აღემატებოდა შემოტინილისას მაშინ დაასკვნიდენ, რომ ქვეყანაში ამ განსხვავების თანაბარი ფული შემოსულა ნაღდათ და მაშ, ამ ჯამით გამდიდრებულა კიდეკ მხარე. ეკონომისტების დახელოვნებაც იმაში უნდა გამოხატულიყო, მაშასადამე, რომ წლის ბოლოს საქონლის გატანას გადაემატებია შემოტანისათვის, და აი ამ სასაცილო ილიუზის სწირავდენ არა ერთისა და ორი ათასი ადამიანის სიცოცხლეს. ვაჭრობას თავისუფლათ შეუძლია დაიკვეხნოს თავისი ჯვაროსანთა ომებით და ინკვიზიციითაც.

მე-18 საუკუნე ხომ რევოლუციების ხანა იყო და მან გაარევოლუციონერა პოლიტიკური ეკონომიაც. მაგრამ რო-

გორც ყველა სხვა ამ საუკუნოების რევოლუციები, ისე პოლიტიკურ ეკონომიაში მომხდარიც ცალმხრივი იყო თავის შინაარსით და აღსავსე ერთი მეორის საწინააღმდეგო მიმდინარეობით (ტენდენციებით).

ამ ხანაში განყენებულ სპირიტუალიზმს განყენებული ანუ აბსტრაქტული მატერიალიზმი დაუპირდაპირეს, მონარქის – რესპუბლიკა, ღვთაებრივ უფლებას – სოციალური ხელშეკრულობა და ამ საზღვრებს ვერც ეკონომიურმა რევოლუციამ გადააბიჯა. მთავარი (სახელმძღვანელო) აზრი ისევ ძველებური დარჩა: მატერიალიზმი არ შეეხო სრულებით ქრისტიანულ თავის დამცირებას ადამიანისას, ვერ მოიცილა თავიდან თავის-თავის მიმართ ზიზღი, და ქრისტიანულ ღმერთის ნაცვლათ ბუნება დაუყენა ადამინს წინ აბსოლუტათ (განუსაზღვრელ არსებათ). პოლიტიკოსები სრულიად არიცდილან კრიტიკაში გაეტარებიათ სახელმწიფოს წყობილების შესახებ მიღებული სახელმძღვანელო აზრი, ეკონომისტებს კი აზრათაც არ მოსვლიათ ოდნავ მაინც დაფიქრებულიყვენ კერძო საკუთრების გამართლებაზე. ამიტომაც იყო რომ პოლიტიკური ეკონომია ძლიერ ცოტათ წაიწია წინ. იგი იძულებული შეიქნა სოფისტიკა და პირფერობა მოეშველებია და მათ შემწეობით დაემალა ის წინააღმდეგობანი, რომელიც გამოაჩნდა იმ დროს, და ძალუნებურათ მიეღო ზოგიერთი დასკვნანი თანახმათ მაშინდელ ჰუმანიურ (კაცთმოყვარულ) მიმდინარეობისა, თუმცა ესენი არ ეთანხმებოდენ მის დედა აზრს. პოლიტიკურმა ეკონომიამ მიიღო ჰუმანიური ხასიათი, ზურგი შეაქცია მწარმოებელს და თავის სიყვარულით გააბედნიერა მხმარებელი. ის გულის წყრომას აცხადებდა მერკანტილიზმის სისხლის მსმელობის წინააღმდეგ. ვაჭრობა აღიარა ერთობისა და მეგობრობის საფუძვლათ, როგორც ხალხთა ურთიერთობაში ისე კერძო ადამიანთა ცხოვრებაში. ყოველივე ეს რასაკვირველია ძლიერ კარგი იყო, მაგრამ შუბი ხომ ხალთაში არ დაიმალება და დედა-აზრმაც გამოაჩინა მთელი ძალა თავისი მოქმედებისა: სრულიად წინააღმდეგ ფილანტროპიისა მან შეიმუშავა მალტუსის თეორია მცხოვრებთა რიცხვის გარდამეტებისა, თეორია ყველა წინანდელებზე უფრო ბარბაროსული, რომელსაც შეეძლო ადამიანი თავგამეტებამდინ მიეყვანა; ამ თეორიამ გააცამტვერა ყველა კაცთ მოყვარეობასა და მსოფლიო მოქალაქეობაზე მომღერალი ლამაზი სიტყვები. მანვე შექმნა და განავითარა საფაბრიკო სისტემა და თანამედროვე მონობა, რომელიც სისასტიკით და კაცთმძულვარებით, არაფრათ ჩამოუვარდება ძველი დროისას. ახალმა პოლიტიკურმა ეკონომიამ, თავისუფალ ვაჭრობის სისტემამ, რომელიც დაასაბუთა თავის თხუზულებაში ადამ სმიტმა („ერთა სიმდიდრე"), გამოაშკარავა ის პირფერობა, წახდენა-უკუნჯქმობა და უუფლებობა რომელნიც უპირდაპირდებიან დღეს თავისუფალ კაცობრიობას.

ნუ თუ სმიტის სისტემა არ არის ნაბიჯის წინ გადადგმა, შეიძლება იკითხოთ. რასაკვირველია არის და აუცილებელი ნაბიჯიცაა. აუცილებლათ საჭირო იყო მერკანტილური სისტემის დამხობა მისი მონოპოლიებითა და ვაჭრობის შემავიწროებელ წესებით, მხოლოთ ამით შეიძლებოდა გამოაშკარავებულიყო კერძო საკუთრების ნამდვილი ხასიათი. საჭირო იყო, უკუეგდოთ ყველა წვრილმანი ადგილობრივი და ეროვნული მოსაზრებანი, რომ ბრძოლა საყოველთაო გამხდარიყო და მთელს კაცობრიობას მოედებოდა.

კერძო საკუთრების თეორიას უნდა დაეტოვებია ემპირიული (დაკვირვებითი) და მარტოთ-მარტო ობიექტური კვლევა ძიების ბილიკი და მიეღო მეცნიერული ხასიათი; უკანასკნელი კი აიძულებდა მას მიეღო თავის თავზე პასუხის მგებლობა თავის დასკვნებისათვის და მით კითხვა გადაეტანა უფრო საკაცობრიო ნიადაგზე. დასასრულ, საჭირო იყო რომ ძველი პოლიტიკური ეკონომიის უზნეო ელემენტები, მთელი უზნეობის უარყოფით და პირფერობით მიეყვანა უმწვერვალეს წერტილამდის. ყოველივე ეს ბუნებრივი იყო. ჩვენ სიამოვნებით აღვიარებთ, რომ ვაჭრობის თავისუფლების დასაბუთებამ და ცხოვრებაში გატარებამ მოგვცა შეძლება გადაგველახა კერძო საკუთრებაზე დამყარებული პოლიტიკური ეკონომია, მაგრამ იმავე დროს ნებას ვაძლევთ ჩვენ თავს დავამტკიცოთ, რომ ვაჭრობის თავისუფლება აბსურდია (უაზრობა) როგორც თეორიულათაც ისე პრაქტიკულათაც. და ჩვენი განაჩენი მით უფრო სასტიკი იქნება, რამდენათაც უფრო ახლო არიან ჩვენ დროზე ის ეკონომისტები, რომელთა კრიტიკასაც ქვევით შეუდგებით. საქმე ის არის რომ სმიტს და მალტუს ხელში ჭონდათ მზოლოთ თეორიის ნაგლეჯები, მათ შემდგომნი მკვლევარნი კი სარგებლობდენ დასრულებული სისტემით. უკანასკნელთა დროში ყველა დასკვნები გამოყვანილი იყო და ყველა წინააღმდეგობა საკმაოთ გამოაშკარავებული, მაგრამ ისინი მაინც მეტათ თვლიდენ სახელმძღვანელო აზრთა გამოკვლევას და თავს იდებდენ სისტემისთვის პასუხის მგებლობას. რამდენათაც უფრო ახლო არიან ეს ეკონომისტები ჩვენ დროსთან მით უფრო ნაკლებია მათი პატიოსნება საქმის გარკვევაში. რაც უფრო უახლოვდებოდა ეს მეცნიერება ჩვენ დროს, უფრო და უფრო ძლიერდებოდა სოფიტიკის როლი, რომლითაც სარგებლობდენ პოლიტიკური ეკონომიის დროის შესაფერ სიმაღლეზე შესაჩერებლათ. ამიტომ, რიკარდოს მეტი ცოდვა მიუძღვის ვიდრე ად. სმიტს, ხოლო მაკ-კულოხს და მილს მეტი ბრალი ედება ვიდრე რიკარდოს.

ახალ პოლიტიკურ ეკონომიას არც კი შეუძლია სწორი მსჯელობა შეიმუშაოს მერკანტილურ სისტემაზე, რადგან თვითონ იგი გაჟღენთილია ცალმხრივი აზრებით და განაგრძობს ძველი სახელმძღვანელო აზრებით სარგებლობას. მხოლოდ მაშინ შეგვეძლება სისწორით დავაფასოთ ორივე სისტემა, როცა ორივეზე, როგორც მემკალტილურის ისე ვაჭრობის თავისუფლების, წინააღმდეგობებზე მაღლა დავდგებით და სახელმძღვანელოთ მივიღებთ ნამდვილ ადამიანურ შეხედულობას. ქვევით ჩვენ დავამტკიცებთ რომ ვაჭრობის თავისუფლების დამცველნი უფრო მეტი მონოპოლისტები არიან ვიდრე მელკანტილური სისტემის მომხრენი. დავამტკიცებთ აგრეთვე რომ ახალი დროის პოლიტიკო-ეკონომთა ორპირ ჰუმანიზმის ნიღაბ ქვეშ ისეთი ბარბაროსობა იმალება რომლის მსგავსი არც კი მოლანდებია მათ წინამორბედთ; დავამტკიცებთ რომ ძველი შკოლის დამახასიათებელ ცნებათა ერთმანეთში არევა ბევრათ უფრო მარტივი და ნათელი იყო ვიდრე მათ მოწინააღმდეგეთა ლოღიკა და არც ერთს ამ სკოლათაგანს არ შეუძლია მეორეს ისეთი ბრალი დასდოს, რომელშიაც თვითონ არ იყოს დამნაშავე. და სწორეთ ამიტომაც არის, რომ ახალ პოლიტიკურ ეკონომიას ვერ აუხსნია მერკანტელური სისტემის ხელ ახალი აღორძინება ჩვენს დროში; ჩვენ კი სულ ადვილათ შეგვიძლია მისი ახსნა. აი როგორ არის საქმე. რადგან ლიბერალური პოლიტიკური ეკონომია ორაზროვანია და მოკლებულია პირდაპირობას, იგი უეჭველათ უნდა დაიყოს მისი შემადგენელი ელემენტების მიხედვით. სწორეთ ისე როგორც თეოლოგია (ღვთისმეტყველება) იძულებულია ან უკან იბრუნოს პირი და დაუბრუნდეს ბრმა სარწმუნოებას, ან გასწიოს წინ და გარდაიქმნეს თავისუფალ ფილოსოფიათ, ისე ვაჭრობის თავისუფლებაც ან უნდა დაუბრუნდეს მონოპოლიას და აღადგინოს იგი, ან უნდა უარყოს კერძო საკუთრება და მოსპოს იგი.

(შემდეგი იქნება).

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ახირებული ლოღიკისა და ბაგაჟის პატრონი ყოფილა „ივერიის“ „მეცნიერი“ ხელმძღვანელი! „მოგზაურის“ მიმართულების ერთ ორგანოში“ ამოუკითხავს მას გასაცარი (მისთვის და მხოლოთ მისთვის!) ახალი ამბავი. ამოუკითხავს რომ **დემოკრატია** ბუნებრივი მოწინააღმდეგეა იმ პარტიისა, რომელსაც ორგანო ხელმძღვანელობს; ამოუკითხავს კიდევ:

„ჩვეულებრივათ გონიათ, რომ რაკი ჩვენკენ ამდენი სხვადასხვა ხალხი მოდის, ალბათ ძლიერი ვართო. ეს შეხედულობა მართალიც არის და შემცდარიც, იმისდა მიხედვით, თუ როგორი თვალით შევხედავთ ჩვენს პარტიას. თუ მას შევხედავთ დემოკრატიის თვალით, დავინახავთ, რომ ის ძლიერია, წინააღმდეგ შემთხვევაში დემოკრატიული კლასები ჩვენკენ არ მოვიდოდენ; თუ მას შევხედავთ ჩვენი პარტიის თვალით,—ის სუსტია უამისოთ წვრილი ბურჟუაზია არ გაგვეკარებოდა‘.. „ევროპის პარტიას იმდენი გავლენა არ აქვს ბურჟუაზიაზე, რამდენიც ჩვენ გვაქვს, მარა ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი პარტია ბერლინისაზე უფრო ძლიერია? სრულიათაც არა“...

ამოუკითხავს ესა, და მის სიხარულს საზღვარი არა აქვს. რაო და, თვით მესამე დასელები აღიარებენ თავის სისუსტეს და აქედან დაასკვნის „მაშასადამე, ცხადია, საქართველოს ავტონომიას დასელებისაც „გამოკვლევით“ დიდი ნიადაგი ჰქონია საქართველოში, რადგან მას ემხრობიან ის ელემენტები, რომელნიც ერის უმრავლესობას შეადგენენო“. ემხრობიან კი, ბატონო მეცნიერო და ლოღიკის დაუშრეტელო წყაროვ? სად მიემხრენ და როდის? ნუ თუ მეტათ ვერ იცნობთ ადგილობრივ ცხოვრებას! განა, არ იცით, როგორის „პატივისცემით“ აცილებენ ავტონომისტ-ორატორებს იგივე დემოკრატი გლეხები! ჩვენი ნუ გჯერათ, ბ-ნ სიტყვას კითხეთ, რომელიც ბრალმდებელის როლს კისრულობს „მოგზაურისტების“ წინააღმდეგ. წაიკითხეთ მისი „პატარა ამბები“ ,,ცნობის ფურცლის“ № 2876-ში და თუ რამე ,,გისწავლიათ და გაგიგონიათ“, როგორც ხშირათ ამბობთ ხოლმე, გაიგებთ რის კუჭის წვა აქვს ბ. სიტყვას. რატომ? შემდეგ იყოს და რომ ერის უმრავლესობა დღეს ავტონომიის წინააღმდეგია ეს თქვენთვისაც აშკარაა და იმიტ ნუ ინუგეშებთ თავს რომ „დასელები“ ერთ ადგილას ამბობენ, ჩვენი პარტია დღეს უმცირესობას შეადგენსო. ამას ყველა ამბობს და კიდევ ბევრჯერ იტყვის, რადგან ყველასათვის აშკარაა, რომ დღეს მესაკუთრენი, და ხით ბურჟუაზიული პსიხოლოგიის მქონენი შეადგენენ უმრავლესობას, მარა თქვენ რა? ამით ხომ თქვენ კრედიტს არაფერი ემატება. პირ-იქით თქვენი აღტაცებაც იმას მოწმობს, რაც არა ერთხელ გვითქვამს—რომ თქვენ და ძმანი თქვენნი ბურჟუა-იდეოლოგები ბრძანდებით. ეს ხომ ასეა, მაგრამ მაინც ვერ გაგვიგია თქვენი სიხარულის მიზეზი. ნუ თუ,დღემდინ არ იცოდით, რომ დღევანდელ საზოგადოებაში დემოკრატები შეადგენენ უმრავლესობას და არა სოციალ-დემოკრატები. თუ, ამით იმის თქმა გინდათ, რომ „დასელები“ ასეთი უმრავლესობის პოლიტიკას უნდა დაემორჩილონ? თქვენგან ესეც მოსალოდნელია! არა, ბატონო მეცნიერო. დასელები ყოველთვის იმის ცდაში არიან, რომ თავის ტაქტიკაზე გადიყვანონ ვი'ი გადაყვანაც კი შესაძლებელია და რამდენათ ამას ემორჩილება და ურიგდება დემოკრატია, თუნდ ეს ,,სისუსტის‘‘ ბრალიც იყოს, პარტია ყოველთვის ისარგებლებს მით. როგორც თქვენ მიერ წაკითხულ ორგანოს წერილს ისე ყველა სხვა ,,დასელების‘‘ შრომას ის აქვს მიზნათ, რომ ბრძოლის ასპარეზი გაანთავისუფლოს და მასთანვე თავისი კლასობრივი შეგნება გააფართოვოს და გაალრმავოს. და თუ ზოგიერთ ისტორიულ მომენტში დემოკრატია მათ პარტიას მიყვება, რასაკვირველია, იმიტომ რომ ეს მისთვის ხელსაყრელია დღეს, ეს პარტიას სრულიად არ აფიქრებს, პირ-იქით სიამოვნებით სარგებლობს ამით, ხანა პოლიტიკური პირობები მაინც შეცვალოს თავისთვის საუმჯობესოთ.

რა არის აქ საკვირველი!

ან რა წინააღმდეგობაა ,,მოგზაურის‘‘ მეორე №-ისა და ამ ორგანოს წერილში იმით რომ ,,მოგზაურს‘‘ ულოცავს ჩვენი მიზანია უმრავლესობის სამსახურიო. ნუ თუ ესეც ახალი ამბავია თქვენთვის, ბრძენო ეკონომისტო, რომ მიუხედავათ იმისა რომ ერის უმრავლესობა დღეს ბურჟუაზიულია თავისი მდგომარეობით, იგი მაინც გაფცქვნილი და გაყვლეფილია უმცირესობისაგან. ნუთუ არ იცით მაგალითათ, რომ გლეხობა თავისთავათ ბურჟუაზიული ელემენტია, მაგრამ მაინც გაყვლეფილია. და აი, რამდენათაც ის ასეთია მას ვემსახურებით ჩვენ, ხოლო რამდენათაც იგი ბურჟუაზიულია იმდენათ ის წინააღმდეგია პროლეტარიატისა. მაშ შესაძლებელია, რომ ჩვენ ვემსახუროთ ერის უმრავლესობას, გავავითაროთ მასში მისი ინტერესების შეგნება და ხელი შევუწყოთ მის ექსპლოატატორებისაგან განთავისუფლებას. რა გზით, ეს უეჭველია „გაგონილი“ მაინც გექნებათ, და ახლა სიტყვას არ გავაგრძელებთ. ნუ თუ ამაზე მეტათ ვერ გშველისთ „მეცნიერება“ და „ლოღიკა“ ბ. ეკონომისტო!

—

გვინდოდა ორიოდე სიტყვა ბ. სიტყვისათვისაც გვეძღვნა, მაგრამ ჯერ არ დაუსრულებია მას თავისი „პატარა ამბები.“ გვპირდება „დანარჩენზე შემდეგო“ და ჩვენც ვამჯობინეთ, შემდეგ შევეხოთ ამ „პუბლიცისტს.“

ბურჟუა და პროლეტარი *)

თქვენ გინდათ თქვენი ქონებრივი ურთიერთობა და წარმოების პირობები, რომელნიც ისტორიის განმავლობაში შეუშავდა და წარმოების იმავე ისტორიულ განვითარებასთან ერთათ იცვლება, გადააქციოთ ბუნების და გონების სამუდამო კანონათ. ასეთი მიკერძება თქვენ ისევე შეგფერისთ, როგორც ყველა თქვენ წინეთ გაბატონებულ კლასებს. როცა ლაპარაკობთ ბურჟუაზიულ საკუთრებაზე, თქვენ არ გსურთ მიხვდეთ ის, რასაც მიხვდებით ხოლმე, როცა ანტიკურ ან ფეოდალურ საკუთრებაზეა ლაპარაკი.

ოჯახის მოსპობა! თვით ექსტრემალიც კი აღშფოთებულია კომუნისტთა ამ საშინელი სურვილით.

რა ღირს საფუძველათ დღევანდელ ბურჟუაზიულ ოჯახს? კაპიტალი—კერძო გამდიდრება. საესებით განვითარებული ოჯახი მხოლოდ ბურჟუაზიისათვის არსებობს, პროლეტარიატი კი იძულებულია უცოლობაში გაატაროს თავისი სიცოცხლე. პროლეტარიატის უცოლობა და აშკარა პროსტიტუცია დამატებაა ბურჟუაზიულ ოჯახისა.

მოისპობა ასეთი დამატება ბურჟუაზიულ ოჯახისა და მასთან ერთად უნდა აღიგავოს დედამიწის ზურგიდან თვით ბურჟუაზიული ოჯახიც. მოისპობა კაპიტალი და მასთან ერთად უნდა გაჰქრეს ბურჟუაზიული ოჯახი თავის დამატებითურთ.

იქნება თქვენ იმასაც გვისაყვედურებთ, რომ ჩვენი მიზანია ვიხსნათ მშობლების გაყვლეფისაგან ბავშვები? წინდაწინვე ვაღიარებთ ჩვენს ამნაირ დანაშაულს.

ჩვენ გვსურს შინაური აღზრდის მაგიერ საზოგადო, შემოვი-

*) იხილე „მოგზ.“ № 28.

ლოთ. თქვენ კი გაიძახით, რომ ჩვენ ამით მოვსპობთ ადამიანთა შორის საუკეთესო დამოკიდებულებას.

მაგრამ, ერთი გვიბრძანეთ, ნუ თუ თქვენი აღზრდა არ განიცდის საზოგადოების გავლენას? განა მას საზოგადოებრივი ურთიერთობა არ საზღვრავს? განა თქვენი სკოლის საქმეში საზოგადოება, ასე თუ ისე, არ ერევა? განა საზოგადოება არ იღებს მონაწილეობას თქვენის სკოლის ორგანიზაციაში? რამდენი ათასი მაგალითი უნდა მოგიყვანოთ? ტყუილია ის აზრი, ვითომც, კომუნისტებს გამოეგონოთ შკოლებში საზოგადოების გავლენის შეტანა! კომუნისტებს უნდათ თქვენის საზოგადოების მიერ გარყვნილი შკოლა აღადგინონ, მათი სურვილია ძირიანათ შესცვალონ სწავლა-აღრზდის ხასიათი. მოსპონ გაბატონებულ კლასთა ფარფაში შკოლის საქმეებში.

ზიზღს იწვევს ბურჟუაზიის მაღალ-მაღალი ფრაზები და მყვირალობა ოჯახსა და აღზრდაზე, მშობელთა და შვილების დამოკიდებულობაზე და იმდენათ უფრო დიდია ეს ზიზღი, რამდენათაც მსხვილი მრეწველობა ძირს უთხრის პროლეტარიატის ოჯახს, რამოდენათაც მუშების პაწია შვილები უკვე საქონლებათ გადაქცეულან და სამუშაო იარაღის მაგიერობას ასრულებენ.

მაგრამ თქვენ რომ საზიარო ცოლობის შემოღება გსურთ ერთხმათ გვიკიჟინებს ბურჟუაზია

ბურჟუასთვის მისი ცოლი წარმოების უბრალო იარაღია, სხვა არაფერი და რადგანაც მას ეუბნებიან, რომ წარმოების იარაღი საზოგადოების ხელში უნდა გადვიდესო, აქედან მას ის გამოჰყავს, რომ ქალებსაც ასეთი დღე წაეკიდებათ.

აქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ქალები კვლავ აღარ უნდა იყვნენ წარმოების უბრალო იარაღი და ბურჟუას ეს ვერც კი წარმოუდგენია.

სწორეთ სიცალს ჰკვრის ადამიანს ამ უმწიკვლო ზნეობის მატარებელ ბურჟუების შიში იმის წინაშე, რომ ვითომც კომუნისტებს განზრახვა ჰქონდეთ შემოიღონ ოფიციალურათ საზიარო ცოლობა, მაშინ როდესაც ეს მუდამ არსებობდა.

ბურჟუების გარყვნილებას ვერ აკმაყოფილებენ პროლეტარების ცოლები და ქალიშვილები, მათთვინ არა კმარა ოფიციალური პროსტიტუციაც და განსაკუთრებულის სიამოვნებით რყვნიან ერთი მეორის ცოლებს.

ნამდვილი საზიარო ცოლობა—ბურჟუაზიული ქორწინებაა და კომუნისტებს შეუძლიათ უსაყვედურონ მხოლოთ იმაში, რომ ვათ ფარისევლურათ მალულ საზიარო ცოლობის ადგილას, ოფიციალური საზიარო ცოლობა უნდათ შემოიღონ; მაგრამ თავის-თავათ ცხადია, რომ თანამედროვე პირობების მოსპობასთან ერთად მოისპობა მათის წყალობით წარმოშობილი საზიარო ცოლობა, ე. ი. პროსტიტუცია როგორც ოფიციალური, ისე არა-ოფიციალურიც.

კომუნისტებს — ამბობენ ბურჟუა-ნაციონალისტები-სამშობლოსა და ეროვნების მოსპობა სურთო.

მუშას სამშობლო არა აქვს. მაშასადამე, როგორ შეიძლება წაართვა ადამიანს ის, რაც მას არ აქვს? პროლეტარიატის მიზანია, თავდაპირველათ პოლიტიკური ძალა მოიხვეჭოს, იგი ცთილობს ერთა ნაციონალური სხეული შექმნას, მოეწყოს ერის საზღვრებში და ამასთან ეროვნულივი რჩება, თუმცა სრულებით ისეთი არა, როგორც ეს ბურჟუაზიას ესმის.

ბურჟუაზიის განვითარება, ვაჭრობის თავისუფლება, მსოფლიო ბაზარის გაჩენა, საწარმოო წესისა და მის შესაფერ ცხოვრების ურთი-ერთობის ერთგვარია ყველაფერი ეს იმის დამამტკიცებელია, რომ ეროვნული კარ-ჩაკეტილობა და სხვა და სხვა ხალხთა ინტერესების წინააღმდეგობა თან და თან ჰქრება.

როცა პროლეტარიატი გაბატონდება, კიდევ უფრო დაჩქარდება ამაგვარ ურთი-ერთობათა მოსპობა.

მარტო განათლებულ ქვეყნების პროლეტარიატის ერთობის შეერთება პროლეტარიატის განთავისუფლების ერთ პირობათაგანია.

რამდენადაც ერთი ადამიანი უზრუნველ-ყოფილი იქნება მეორის გაყვლეთისაგან, იმდენად დაიხსნის თავს ერთი ერი მეორის ძალ-მომრეობისაგან.

ერებში კლასთა შორის განხეთქილების მოსპობასთან ერთად აღმოიფხვრება მტრული დამოკიდებულება ერთა შორისაც.

რაც კომუნისტთა ბრალდებას შეეხება რელიგიურისა, იდეოლოგიურისა და ფილოსოფიურის მხრივ, ეს საკითხები, საერთოდ, არ არიან ღირსნი უფრო დაწვრილებით განხილვისა,

ნუ თუ ძნელი მისახვედრია, რომ, როცა შეიცვლება ადამიანის ცხოვრება და საზოგადოებრივი ურთი-ერთობა, როცა ადამიანი სხვა მდგომარეობაში ჩადგება, მასთან ერთად შეიცვლება მისი აზრები, ის სხვანაირათ იწყებს აზროვნობას, სხვა ფერდება მთელი მისი შეგნება.

ისტორია გვიმტკიცებს, რომ გონებრივ მოქმედების გადასხვაფერებას უკან მისდევს ნივთიერ მოქმედების გადასხვაფერებაც. ამა თუ იმ დროის გაბატონებული იდეები ყოველთვინ გაბატონებულ კლასის იდეები იყო.

ლაპარაკობენ, რომ მთელს საზოგადოებაში რევოლიციონურ მოძრაობის შემქნელი იდეებიაო; ამითი ისინი აღნიშნავენ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ ძველი საზოგადოების შუაგულში ჩნდება ახალ წეს-წყობილების ელემენტები და, ძველის წყობილების დანგრევასთან ერთად, ინგრევა და იხრწნება ძველი იდეებიც. როცა ძველი ქვეყანა დაინგრა, ძველი სარწმუნოება დამარცხებულ იქნა ქრისტიანობის მიერ. როცა ქრისტიანული იდეები ადგილს უთმობდა მე XVIII საუკუნის განმანათლებელ იდეებს, ფეოდალურ საზოგადოებას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონდა მაშინდელ რევოლიციურ ბურჟუაზიასთან. სინდისისა და სარწმუნოების თავისუფლების იდეა გამომხატველი იყო თავისუფალ კონკურენციისა სწავლა-ცოდნაში.

მაგრამ გვიპასუხებენ: ისტორიულ განვითარების მსვლელობასთან ერთათ, მართალია, იცვლებოდა რელიგიური, ხნეობრივი, ფილოსოფლური, უფლებრივი და სხვა იდეები, მაგრამ ამ განუწყვეტელ ცვლილების დროს რელიგია, ზნეობა, ფილოსოფია, პოლიტიკა, უფლება ხომ მაინც რჩებოდა და ინახებოდაო.

„ამას გარდა არსებობს საუკუნო ჭეშმარიტებანი: თავისუფლება, სამართლიანობა და სხ., რომელნიც ერთნაირათ ეკუთვნის საზოგადო განვითარების ყველა საფეხურს. კომუნიზმს კი უნდა მოსპოს საყოველთაო ჭეშმარიტება, ის სპობს რელიგიას და ზნეობას, იმის მაგივრათ რომ გადაასხვაფეროს იგი და, რადგანაც აგრე იქცევა, მაშასადამე, იგი წინააღმდეგია ისტორიულ განვითარების მთელ მსვლელობისა“.

(შემდეგი იქნება).

მსჯელობის უფსკრული.

(ბ. ი. გომართელის წერილის გამო.).

სამწუხარო ფიქრების აღმძვრელია ბ. ივ. გომართელის წერილი «რა გზას უნდა დაადგეს სამღვდელოება», «ივერიის» მე-130 ნომერში მოთავსებული. ადამიანის აზრი იმდენათ და-

ფასდება, რამდენათაც იგი ახალ შუქსა ჰფენს საგანს, და ნამდვილ გზას აჩვენებს მკითხველს. ამასთანავე ადამიანის აზრი ავტორის საკუთარი პიროვნების მაჩვენებელი უნდა იყოს, იმისი მისწრაფების, იდეალის გამომხატველი. ამ მხრივ ბ. გომართელის წერილი უცნაურობის წყაროა. «მე მრწამსო, ამბობს ავტორი, რომ მომავალში კაცობრიობა და მასთან ერთათ ქართველი ერიც მივა იმ შეგნებამდე, რომ ადამიანისათვის ყველაფერი აქ იწყება—დედა-მიწის ზურგზე—და აქვე თავდება. მაგრამ დღეს-დღეობით არც კაცობრიობა, არც ქართველი ერი ამგვარ შეგნებამდე არ მისულა. დღეს ქართველ ერის ერთ ნაწილს სარწმუნოებრივი გრძნობა აქვს და ამიტომაც სამღვდელოების არსებობასაც საფუძველი აქვსო».

ბ. გომართელის წერილის პირველი ნახევარი სამართლიანი კრიტიკაა სამღვდელოების დღევანდელი სამარცხვინო მოღვაწეობისა, ბოლოს კი ავტორი თვითონ სცდება გზას, ორჰოფ მდგომარეობაში ვარდება. არ გამოუდგებით ბ. გომართელს იმის წინასწარმეტყველებაში, თუ რა რწმენას მიაღწევს მომავალში «კაცობრიობა და მასთან ერთათ ქართველი ერი». ავტორის რწმენა კი დღეს ნათლათ სჩანს იმის წერილიდან. იმას სწამს, რომ ყველაფერი აქ იწყება დედა-მიწის ზურგზე—და აქვე თავდება. მაგრამ ხალხს ეს არა სწამს, საიქიოს საიდუმლოების მხილავ-მქადაგებელნი ეჩვევრება და ამიტომ, ავტორის აზრით, ხალხს სჭირია სამღვდელოება, ხოლო სამღვდელოება არა დღევანდელი, ანგარებით სავსე, არამედ ზნეობით წმინდა, პატიოსანი.

ამ გვარი მსჯელობის კალაპოტი საოცრება რამ არის. ბოლომდის ავტორი საკუთარის ძალ-ღონით სჯიდა საგანს, საკუთარ თვალთა-ხედვის ისარს გვიმხელდა, ბოლოს კი რაღაც უცაბედ მანქანების ძალით, ხალხის ცნობა-გონებას შეაფერადა თავისი მსჯელობა, ხალხის მისწრაფების მიხედვით გვიწყო საუბარი, ხალხის თვალთა-ხედვის ისარს მიენდო.

რას გვეტყვის ბ. გომართელი, ნათლათ რომ დავანახვოთ აზროვნების რაგვარ უფსკრულის კიდემდე მიჰყავს მას თავისი მკითხველი.

რა სახელს დაარქმევთ თქვენ იმ ექიმს, რომელიც შემდეგ მსჯელობას გადაგიშლით თვალ-წინ: «მე მრწამს, რომ მომავალში კაცობრიობა და მასთან, ერთათ ქართველი ერიც მივა იმ შეგნებამდე, რომ სნეული ადამიანისათვის ნამდვილი მეცნიერული მკურნალობაა საჭირო, მაგრამ დღეს-დღეობით არც კაცობრიობა, არც ქართველი ერი ამგვარ შეგნებამდე არ მისულა. დღეს ქართველი ერის ერთ ნაწილს სოფლის ექიმების და მკითხავების ნდობა აქვს და ამიტომ სოფლის ექიმების და მკითხავების არსებობას საფუძველი აქვსო».

ავტორის აზრის კალაპოტს რომ მივსდიოთ, შემდეგს აღვიარებს: საჭიროა მხოლოდ, რომ სოფლის ექიმები და მკითხავები წმინდა ზნეობრივ მიზანს მიელტვოდენო.

ნეტა თუ დაფიქრებულა ავტორი იმაზე, რა ბედი ეწევა ყველა სამკურნალო ფაკულტეტებს და მეცნიერებს ქვეყანაზე რომ ბ. გომართელისებური აზრი გამეფდეს.

ადამიანის აზრი იმდენათ დაფასდება, რამდენათ ნათლათ წარმოგიდგენთ საგანს, ამა თუ იმ მოვლენის დღევანდელ ვითარებას, დაგანახვებთ რა პირობებმა შექმნა ეს მოვლენა და რა გზას უნდა დაადგეს ადამიანი, რომ განაქარწყლოს ცრუ მორწმუნოების შედეგი ესა თუ ის მავნე რწმენა. როცა ადამიანის აზროვნება სიცოცხლით ჰფეთქს, იმისი ნაწარმოებიც ცოცხალი იქნება. საგნის ნათლათ მხილავი მწერალი არ ღმტყუნებს თავის ნაწარმოებში საკუთარ მისწრაფებას, პირად იდეალს და ნათლათ დაგანახვებთ, **რა არის** დღეს მიუღებელი წინ და იმის მაგივრათ **რა უნდა იყოს**.

ავტორის აზრის მიხედვით კი მის მიერ ნაწინასწარმეტყველევი მომავალი როგორღაც თავის თავად უნდა ჩამოვარდეს ზეციდან, მწერალ-მოღვაწეებმა კი საჭიროთ უნდა აღიარონ ის, რაც წინანდელი და დღევანდელი უვიცობის შედეგია. რანაირათ უნდა გაქარწყლდეს ცრუ ეჭვმობა და მკითხაობა, თუ ადამიანი მთელი თავისი ზნეობრივ—გონებრივი ძალ-ღონით არ ამხედრდა მასთან საბრძოლველათ? განა იმით უნდა ვიჯეროთ გული, რომ გონების ბნელეთი დღეს შუქს ვერ გამოსცემს, მომავალში კი როგორღაც თავის თავათ განათლდება?

ამგვარ ვითამ და „ობიექტიურ“ მსჯელობას როგორღაც ცივი, უსოცოცხლო ფერი ადევს. იგი ვერავის ვერ გაუმხელს ჭეშმარიტებას, სწორ გზაზე ვერავის ვერ დააყენებს.

ბ. ი. გომართელის წერილის ბოლოში შემდეგ საოცარ სტრიქონს ვკითვულობთ, რომლიდან ნათლათ სჩანს, რომ ავტორს ვერ შეუგნია ქრისტეს ცნების ძირითადი აზრი, ქრისტიანური იდეალი. „ხალხს უნდა სამღვდელოება ქრისტეს მცნების მტკიცეთ აღმასრულებელი“, ბძანებს იგი. ავტორს არ ესმის, რომ ქრისტეს მცნება მაშვალს არა ცნობს ადამიანისა და ღვთის შორის, რომ იგი პირდაპირ, უმაშვლოდ, ულვიძებს თვითეულ ადამიანს სარწმუნოებრივ გრძნობას, რომელიც ჰუმანობა კაცთ-მოყვარეობაში გამოიხატება. რას დაარქმევს ავტორი იმ დაკანონებულ ჯგუფს, იმ კასტას, რომელიც ხელთ იგდებს მაგალითად უდიდეს გენიოსთა ნაწერებს და ქვეყანას აუწყებს, გენიოსთა და თქვენ შორის შუამავლები ჩვენა ვართ, დიდებულ მწერალთა აზრების გავრცელება განმარტება ჩვენდამია რწმენებულიო.

ავტორს როგორც განათლებულ კაცს, კარგათ უნდა ესმოდეს, რომ თვითეული დიდებული ნაწარმოების ძლიერება იმაში გამოიხატება, რომ იგი მარტივი და თან ღრმა ფიქრებია და გრძნობებს უღვიძებს ადამიანს, რომ გენიოსური ნაწარმოები ადამიანთა ძირითად საზოგადო ბუნებას მიმართავს და ამიტომ ძლიერი გავლენა აქვს ჩვენზე. მაღალი გენიოსური აზრი წოდებრიობას, კასტებს უარყოფს, იგი ადამიანთა საერთო საკუთრებაა, ერთობის, ძმობის მომასწავებელია. ის ვინც ამბობს, რომ ამა თუ იმ გენიოსურ ნაწარმოების გავრცელება-განმარტება ამა თუ იმ დაკანონებულმა დასმა უნდა იკისროს, ვერ მიმხვდარა, რომ თვითონ სჭრის იმას, რასაც კერავს. სამღვდელოებაზე მხოლოთ ეს ითქმის რაც მთავრობის შესახებ სთქვა ამე რიკელმა ფილოსოფოსმა: ის მთავრობა სჯობს სხვებს, რომელიც ყველაზე ნაკლებ მთავრობსო. ამ ხრივ რამდენათაც სამღვდელოება სამღვდელოებს იმდენათ უარყოფს ქრისტეს მცნებას.

ავტორი რომ სერიოზულათ, შეგნებულათ მოჰკიდებოდა საგანს, უნდა დაფიქრებულიყო იმაზე, თუ რამდენათ შეუძლია უწმინდურ ჰურჭელს წმინდა ცხოვრების წყლის გადაცემა. მკვდარი ფორმა, წარსულის ანდერძი, წმინდა ჭეშმარიტების ამრევი უწმინდური ჰურჭელია.

ი. ნაკაშიძე.

რედ.-გამომც. **ი. პ. როსტომაშვილი.**

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 5-го Августа 1905 г.

სტამბა ე. ი. ხელაძისა, რუსის ბაზარი, სახლი სომხ. სას. სემ.